პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

30 იანვარი, 1938 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 30 კაპ. № 3 (58)

შემოქმედებითი ზრდისათვის

1937 წელი დიდად მნიშვნელოვანი საეტაპო წელი იყო მთელი საბჭოთა მწერლობისათვის.

გასული წლის უდიდესმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მასების მონოლიტურმა დარაზმულობამ, მთელი საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ-მორალურმა მთლიანობამ, რის თვალსაჩინო დემონსტრაციას წარმოადგენდა დიდი ოქტომბრის ოცი წლისთავის საზეიმო დღეები და უზენაეს საბჭოს არჩევნების დღე — კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვების დღე, — ამ გრანდიოზულმა მოვლენებმა უფრო მჭიდროდ დააკავშირეს საბჭოთა მწერლობა სოციალიზმის მშენებელ მასებთან, მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო და გააძლიერეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში მომხდარი გრანდიოზული ძვრების ღირსეული მხატვრული ასახვის დაუცხრომელი წყურვილი.

ამასთანავე გასული წლის დიდმა ლიტერატურულმა თარიღებმა — ა. პუშკინის, ილ. ჭავჭავაძის და რუსთაველის იუბილეებმა მწერლობის ყურადღება გაამახვილეს იდეურობის, ხალხურობის, მოქალაქეობრივობის გაღრმავების აუცილებლობაზე, აღმოფხვრეს მწერალთა შეგნებაში ინდივიდუალისტური ხელოვნების თვითმიზნობის ნაშთები და ამით უდიდესი შემოქმედებითი სტიმული მისცეს მთელი ჩვენი საბჭოთა მწერლობის შემდგომ განვითარებას.

ჩვენი ცხოვრების დიდი პოლიტიკურ-სამეურნეო და კულტურული მოვლენების განუსაზღვრელი ზემოქმედება გამომჟღავნდა გასული წლის მთელ რიგ ლიტერატურულ ფაქტებში — ლექსებში, პოემებში, პროზაულ და დრამატიულ ნაწარმოებებში, რომლებმაც მკითხველი საზოგადოებისაგან უკვე მიიღეს მაღალი შეფასება.

მაგრამ ჩვენი საბჭოთა მკითხველი, რასაკვირველია, არ კმაყოფილდება იმით, რაც ქართველმა მწერლობამ გასულ წლებში მოგვცა. ცხოვრებასთან ახლო მისვლის, ჩვენი ეპოქის იდეებით გამსჭვალვის, სოციალისტური სინამდვილის, მისი მოწინავე ადამიანების ასახვის, მათი სულისკვეთების მხატვრულად გადმოცემის პროცესი მიმდინარე წელს უფრო უნდა გაძლიერდეს.

მკითხველი მოითხოვს, რომ საბჭოთა მწერალმა სინამდვილე ასახოს უფრო მეტის სიღრმით, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ქართულ საბჭოთა ლირიკასა და ეპიკურ ნაწარმოებებში.

მკითხველი მოითხოვს, რომ გაფართოვდეს ჩვენი ლიტერატურის თემატიური არე, რომ მან მოიცვას მთელი ჩვენი ცხოვრება მთელი მასი მრავალფეროვნებით.

საბჭოთა მკითხველი მოითხოვს პოეტისა, პროზაიკოსისა და დრამატურგისაგან — მოხაზონ საბჭოთა ადამიანის არა კონტური, მისი ფორმაციის, მისი ზრდის არა ზერელე და გარეგნული შედეგი, არამედ ცხოვლად დაგვიხატონ მისი შეგნების, მისი აზროვნების, მისი ხასიათის ჩამოყალიბების რთული პროცესი მთელი მისი წინააღმდეგობებით.

ცალკეული განწყობილებების გადმოცემით, მხოლოდ ლირიკული ლექსებით არ შეიძლება შეიქმნას სახე ჩვენი დიადი ეპოქის ადამიანისა, რომლის მაღალი იდეურ-მორალური თვისებები, ნაწარმოებში ცხოვლად და ემოციურად ასახული, უნდა გადაიქცეს ჩვენს შეგნებაში დარჩენილი კაპიტალისტური ნაშთების აღმოფხვრის უძლიერეს ფაქტორად.

ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანების მდიდარი სულიერი ბუნება, ჩვენი ცხოვრების ღრმა შინაარსი და მისი მრავალფეროვნება საჭიროებენ მონუმენტალურ ეპიკურ ტილოებს. აი ამ საჭიროებაზე უნდა გავამახვილოთ მთელი ჩვენი სამწერლო საზოგადოებრიობის ყურადღება.

ჩვენი მუშების, ჩვენი კოლმეურნეების, ჩვენი სახელოვანი წითელარმიელების, ინჟინრების, მფრინავების, მასწავლებლებისა და გონებრივი შრომის სხვა მუშაკთა შინაარსიანი წარმტაცი ცხოვრების ფართო ტილოებზე გადასატანად წელს უფრო აქტიურად უნდა ამუშავდეს ყოველი ჟანრის მწერლის კალამი.

ჩვენ ლოზუნგად უნდა დავისახოთ სოციალისტური ლიტერატურის დიდი კლასიკოსის **მაქსიმ გორკის** დაუვიწყარი მითითება: „ჩვენი წიგნების მთავარ გმირად ჩვენ უნდა ავირჩიოთ შრომა, ე. ი. ადამიანი, რომელსაც რაზმავს შრომის პროცესი, ადამიანი, რომელიც შრომას ხდის მსუბუქ, პროდუქტიულ საქმედ და აჰყავს იგი ხელოვნების სიმაღლემდე". მაგრამ არჩევა როდი კმარა, „საჭიროა ამ შრომის ხორცსხმული მოცემა, რაც მწერლისაგან მოითხოვს უამრავ ცოდნას, ცხოვრების შთაბეჭდილებათა დიდ მარაგს. დიდი მარაგი კი აუცილებელია იმისათვის, რომ მწერალმა შესძლოს თავის მდიდარ გამოცდილებიდან ამოირჩიოს ყველაზე რელიეფური და დამახასიათებელი ფაქტები, სურათები, დეტალები, ამოირჩიოს და ჩასდოს ისინი ზუსტ, მკაფიო, ყველასათვის გასაგებ სიტყვებში". (მ. გორკი).

უფრო მეტი ორგანიული დაკავშირება სოციალისტურ პრაქტიკასთან მისცემს მწერალს იმ აუცილებელ მარაგს, რომლის დაგროვება შეუძლებელია, თუ მწერალს არა აქვს საქმიანი ურთიერთობა სინამდვილესთან, თუ იგი პრაქტიკულად არ მონაწილეობს მასების ყოველდღიურ საქმიანობაში და ცხოვრებას უყურებს, როგორც მხოლოდ მასალას, როგორც მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების ობიექტს.

მჭიდროდ დაუკავშირდეთ ცხოვრებას, გავაფართოვოთ თეორიული ჰორიზონტი, დავეუფლოთ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას—ცხოვრების რთულ მოვლენებში ნათელი და მკაფიო ორიენტირების ამ უძლიერეს იარაღს, განუხრელად მივსდიოთ ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მითითებას — კიდევ უფრო ღრმად განვიმსჭვალოთ მგზნებარე სიყვარულით და ერთგულებით სოციალისტური სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე და ჩვენ შევსძლებთ იმ დიდი ამაღლვებელი ნაწარმოებების შექმნას, რომლებსაც ჩვენგან მოითხოვს შესანიშნავი საბჭოთა მკითხველი.

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

საქართველოს მწერალთა საზოგადოებრივობამ 24 იანვრის საღამო მიუძღვნა დიდი **ლენინის** უკვდავ ხსოვნას.

ხალხთა უკვდავი ბელადის ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავის აღსანიშნავად თავმოყრილმა მწერლებმა და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომლებმა მოისმინეს ოთხი მოხსენება.

სხდომა გახსნა ამხ. **სანდრო ეულმა**.

ამხ. **შალვა რადიანმა** მიმოხილვა გაუკეთა იმ უდიდეს ისტორიულ გამარჯვებებს, რომლებიც ჩვენმა დიდმა სოციალისტურმა სამშობლომ მოიპოვა ამ 14 წლის განმავლობაში ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებლის მშობლიური **სტალინის** ხელმძღვანელობით. მხოლოდ ლენინის უკვდავი მოძღვრების საფუძვლების მტკიცე დაცვამ უზრუნველჰყო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება, მისი საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. ეს ისტორიული ამოცანა საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა წარმატებით გადასწყვიტეს დიდი ლენინის საუკეთესო თანამებრძოლის და მეგობრის, მისი საქმის გენიალური გამგრძელებლის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით. მთელმა საბჭოთა ხალხმა ურყევად და მტკიცედ დაიცვა ის ფიცი, რომელიც დიდმა **სტალინმა** ლენინის წინაშე დასდო.

ამხ. **ბესო ჟღენტმა**, რომელიც შეეხო ლენინის შეხედულებებს ლიტერატურის, ხელოვნებისა და საერთოდ კულტურის შესახებ, მწერლების ყურადღება გაამახვილა ლიტერატურაში ლენინური პრინციპების განუხრელი გატარებისათვის ბრძოლის გაძლიერებაზე. წარსული კულტურის მემკვიდრეობის სრული დაუფლება, მშრომელ ხალხთან ორგანიული დაახლოება. ხალხის ბრძოლასა და შრომასთან ლიტერატურის მჭიდრო დაკავშირება, ყოველი ნაწარმოების გამსჭვალვა ხალხის რევოლუციური ბრძოლის იდეებით და იდეალებით,—აი ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა ლენინმა და რომლის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს თავისი კალმით ყოველი საბჭოთა მწერალი.

ამხ. **დ. ბენაშვილმა** აუდიტორიას გააცნო რამდენიმე ხალხური ლექსი, სადაც მხატვრული ძლიერებით არის გადმოცემული ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული მშრომელი კაცობრიობის გენიალური წინამძღოლის დიდი ლენინისადმი.

ამხ. **ე. პოლუმორდვინოვის** მოხსენება შეეხებოდა საკითხს, თუ როგორ და რატომ აფასებდა ასე დიდად ლენინი რუსს კლასიკოსებს — გოგოლს, სალტიკოვ-შჩედრინს, ნეკრასოვს, ჩეხოვს და სხვებს. ღრმად იცნობდა რა ამათ ნაწარმოებებს, ლენინი ხშირად მიმართავდა მათ თეორიული დებულებების დასასაბუთებლად და პრაქტიკული მუშაობის საბრძოლო საკითხების გასაშუქებლად. ჩვენი ამოცანაა, — ამბობს მომხსენებელი, — ვისწავლოთ ლენინის საყვარელი მწერლებისაგან ღრმა იდეურობა და მხატვრული ოსტატობა, რომ ჩვენი ეპოქის მწერალთა ნაწარმოებიც გამოადგეს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის მებრძოლ ადამიანებს, როგორც საუკეთესო ბასრი იარაღი.

მოხსენებათა მოსმენის შემდეგ პოეტებმა **ალიო მაშაშვილმა, ი. აბაშელმა, ს. ხიდისთაველმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ვ. ჟურულმა, ს. ეულმა** წაიკითხეს ლენინისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები, **დ. შენგელაიამ** — ნაწყვეტი თავისი „ფიციდან", ხოლო **მიქელ პატარიძემ** — ნაწყვეტი თავის მიერვე თარგმნილ ვ. მაიაკოვსკის პოემიდან „ლენინი".

მას გამარჯვება

შალვა აფხაიძე

მას გამარჯვება და ჩვენი გული
ვინაც ქვეყანა აგვიბიბინა,
დიდი ბელადის არის ერთგული
და მშრომელთ შორის ჩაიდგა ბინა.

ვინაც ბრძოლებში არის ნაცადი,
სიმს არ შორდება მისი სახელი
და სიყვარული ასული ცამდი
იღვრება ხალხში ჩონგურის ყელით.

ვინც მშრომელთაა სვებედის ფრენა,
შეუპოვარი სამშობლოს მცველი,
ჩვენი მინდვრების, ბაღების ლხენა
და კეთილ აზრთა მდიდარი რთველი.

ვინაც ჩვენს ყანებს, ჯეჯილს და ზვარებს
თავს დასტრიალებს მზრუნველი ხელით,
ყოველ ყვავილის გაშლა ახარებს,
არის გმირობის გამომსახველი.

ვისაც სოფელი თავის ძმად სახავს,
თავის ხმა ესმის მის მებრძოლ ხმაში,
მიჰყვება თითონ კვალდაკვალ ნახნავს,
რომ ხვავი ჩადგას ყოველ მარცვალში.

არის მუშასთან ჩვენს ქარხანაში,
როგორც შრომის და აზრის იმედი,
ძაზგასთან, სახლში, — მიჰყვება მხარში
მასთან შეზრდილი ბრწყინვალე ბედი.

მოყვრისთვის არის ვინც მეგობარი
და მიმზიდველი ვით შუქი დილის,
ხალხთა მტრებისთვის მეხი და ზარი,
და სიმამაცის სახე კვეთილი.

ვინაც მიზანი გადავვიშალა,
გვითხრა: სამშობლოს ვიყოთ მხედარი,
გვწამდეს კავშირის მზიანი ძალა,
ბედნიერება და მისი დარი.

ვინც ცოცხლობს მუდამ ყოველ მშრომელში,
ვით ამხანაგი და მისი რწმენა,
ჩვენი ქვეყანა მის მტკიცე ხელში
იქცა ხალისად და აღმაფრენად.

ვინაც თბილისის გაშალა ზღვარი,
ააბდღიალა იგი ბაღებით,
ვინც ეპიური დაიპყრო მტკვარი
და მარმარილოს მორთო თაღებით.

ვისი ნათქვამიც სიტყვა ნათელი
მოგხვდება გულში — აგაბრიალებს,
დადგება სმენად ქალაქი, ველი
და მას მიაპყრობს მოლიმარ თვალებს.

ვინაც ოცნების გამართა ფრთები
და სიამაყით შეამკო კაცი,
მშობლიურ ველთა და მაღალ მთების
მშვენიერება იგრძნო წარმტაცი.

ვინაც სწრაფვაა, სიმტკიცე ნების
გამარჯვებათა წიგნი გაშლილი,
თითონ ციალი აღფრთოვანების
და ქართველ ხალხის რჩეული შვილი.

ვისაც ზრუნვა და სიბრძნე ბელადის
ცხოვრების აზრად დაუწერია —
მას გამარჯვება, დეე ელავდეს
ხალხის სიმღერა — გმირი ბერია.

ვ. ვ. კუიბიშევი

გარდაცვალებიდან სამი წლის შესრულების გამო

სამი წლის წინათ, 1935 წლის 25 იანვარს, გარდაიცვალა ამხ. ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე.

ამხ. კუიბიშევი ჭაბუკი იყო, როცა დაადგა რევოლუციური ბრძოლის გზას, შევიდა ბოლშევიკების რიგებში, და მას ერთხელაც არ გადაუხვევია ამ გზიდან, მთელი არსებით ემსახურებოდა მშრომელთა განთავისუფლების დიად საქმეს.

უკვე 1905 წლიდან, პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის 17 წლის სტუდენტი, ამხ. კუიბიშევი, როგორც ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრი, ასრულებდა პარტიის პასუხსაგებ დავალებებს არალეგალური ლიტერატურის გავრცელების, იარაღის შენახვისა და გადატანის საქმეში.

სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის კუიბიშევი გამორიცხეს აკადემიიდან. იგი გადადის ომსკში, სადაც არალეგალურად მუშაობს როგორც პროპაგანდისტი, მუშაობს ბოლშევიკური ძალების დასარაზმავად. 1906 წელს მას საერთოსაქალაქო პარტიული კონფერენციის სხვა მონაწილეებთან ერთად აპატიმრებენ და სამხედრო სამართალში აძლევენ. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არ მიუსაჯეს კუიბიშევს კატორღა.

ამ დროიდან იწყება უკვე ამხ. კუიბიშევის, როგორც პარტიული პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის, განუწყვეტელი არალეგალური მუშაობა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იწყება ახალი შესანიშნავი პერიოდი ამხ. კუიბიშევის ცხოვრებაში. იგი სათავეში უდგება ვოლგის მხარის პროლეტარიატის ბრძოლას, რომელიც გამოვიდა საბჭოთა ქვეყნის მტრების — ჩეხო-სლოვაკური, ესერული და მენშევიკური ბანდების წინააღმდეგ.

პარტია ნიშნავს მას ფრონტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან უბნებზე.

1920 წლის დეკემბრიდან ამხანაგი კუიბიშევი „მშვიდობიანი" სამუშაოზეა. პროფკავშირული, სამეურნეო, პარტიული, კვლავ სამეურნეო, საგეგმო მუშაობა. 1921 წელს ამხ. კუიბიშევი არის პროფკავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, „გლაველექტროს" უფროსი. 1922 და 1923 წლებში — პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. 1923 წლიდან 1926 წლამდე — ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და მუშგლეხინის სახალხო კომისარი. 1926 წლიდან — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 1930 წლიდან — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

ვ. ვ. კუიბიშევის სახელთან დაკავშირებულია ბევრი რამ ჩვენი მრეწველობის განვითარებაში: საბჭოთა სამეურნეო მუშაკების კადრების აღზრდა, მრეწველობის პირველი ხუთწლიანი გეგმისა და მთელი სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენა.

ეს იყო სოციალიზმის მშენებლობის გმირული წლები. ამხ. კუიბიშევი ენერგიითა და გამბედაობით აღსავსე იბრძვის კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის. იგი მთელი არსებით ემსახურება იმ საქმეს, რომელსაც მას აკისრებს პარტია. ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, იგი მხურვალედ იცავს მის ხაზს და სასტიკად ანადგურებს ყველა იმათ, ვინც ხელს აღმართავს პარტიის ძლიერებისა და ერთიანობის წინააღმდეგ, ვინც ცდილობს შეასუსტოს ჩვენი სამშობლო. იგი ამხელს, შეუბრალებლად ანადგურებს ხალხის უბოროტეს მტრებს—ტროცკისტებს, ზინოვიეველებს, ბუხარინელებს. იგი პარტიისა და მუშათა კლასის უსაზღვროდ ერთგულია, ამიტომ ის არასოდეს არ აძლევს გასაქანს პარტიისა და მუშათა კლასის მტრებს.

კუიბიშევი დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით იბრძოდა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით მუშაობდა კუიბიშევი ყველა შემდგომი წლის განმავლობაში თავისი საუცხოო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ლენინი და ლიტერატურა

მარქსიზმის ფუძემდებლებმა **მარქსმა** და **ენგელსმა** თავიანთ უკვდავ შრომებში გამოიმუშავეს პროლეტარული ხელოვნებისა და ლიტერატურის გარკვეული თეორიულ-ფილოსოფიური პრინციპები. მარქსმა და ენგელსმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მშრომელი კაცობრიობისა და კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების ინტერესებით, თავიანთი დამოკიდებულების დროს მხატვრული სიტყვის ოსტატებისადმი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოგვცეს კულტურული მემკვიდრეობისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების თვალსაზრისი. მათ მიგვითითეს სოციალისტური ლიტერატურის განვითარების აუცილებელ გზებზე. **ლენინმა**, რომელმაც აღადგინა, დაიცვა და განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ყველა სფეროში, ნათლად ჩამოაყალიბა მწყობრი და დასრულებული შეხედულებანი ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე, უდიდესი ყურადღებით გაარკვია ლიტერატურული მოვლენები, დაამუშავა რეალიზმის კლასობრივი რაობა, მხატვრული აზროვნების თავისებურება, მათი მარქსისტული გაგება.

ლენინის ლიტერატურულ შეხედულებათა ფილოსოფიურ საფუძველს შეადგენს მარქსიზმი, — რომლის ამოსავალიც ყოველი მოვლენის ანალიზისას არის პარტიულობის პრინციპი. ამ პრინციპის საფუძველზე ლენინმა ისტორიულად დაამუშავა სოციალისტური ლიტერატურის რაობა და მისი ამოცანები მუშათა კლასის ისტორიულ მიზნებს დაუქვემდებარა. ლენინმა გვასწავლა პირველად ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხების განხილვა კლასთა ბრძოლის საფუძველზე, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ პროლეტარიატის შეურიგებელი ბრძოლის თვალსაზრისით. ეს თვალსაზრისი დასახა ლენინმა სოციალისტური კულტურის მშენებლობის სახელმძღვანელო კრიტერიუმად. ჯერ კიდევ 1905 წელს ლენინმა გენიალური სიცხადით წამოაყენა თავის წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული მხატვრული ლიტერატურის პრობლემა, ამხილა ბურჟუაზიული ლიტერატურის ფარისევლური „თავისუფლება", მისი მიდგომითობის კლასობრივი ბუნება და სასტიკად შეებრძოლა იმათ, ვინც ბურჟუაზიული დიქტატურის პირობებში „თავისუფალი ლიტერატურის" ილუზიებს ეძლეოდა.

უდავოა, ამბობს ამხანაგი ლენინი, რომ მხატვრული აზროვნების სფეროში აუცილებლად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მეტი გასაქანი პირადი ინიციატივისათვის, ინდივიდუალური მიდრეკილებისათვის, გასაქანი აზრისა და ფანტაზიისა, ფორმისა და შინაარსისათვის, მაგრამ „იგი არ შეიძლება საზოგადოდ იყოს ინდივიდუალური საქმე, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი".1) ამავე თვალსაზრისით ლენინმა ნათლად გაარკვია პროლეტარული ლიტერატურის კონკრეტული გზები და ამოცანები საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ლენინური ლიტერატურის თეორიის შუქზე ჩვენს წინაშე სრული სიცხადით იშლება წარსული და თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების მთელი არსება. ლენინმა გაალრმავა რეალიზმის მარქსისტული გაგება. მან მოითხოვა ხელოვნების ყველა დარგისაგან, რომ იყოს ის ჭეშმარიტად რეალისტური, სწორად ასახავდეს სინამდვილეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ სინამდვილის ისტორიული პერსპექტივის უხეში შეფერადების გარეშე.

ახალი ხელოვნების განსაკუთრებულ თავისებურებად ლენინს მიაჩნდა ის, რომ იგი თავისუფალი უნდა ყოფილიყო ინდივიდუალიზმის ბურჟუაზიული ბურუსისაგან, რომ მას უნდა გამოეხატა მასების ნება-სურვილი. „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს. ის უნდა შეიჭრას თავისი ღრმა ფესვებით მშრომელთა ფართო მასების შუაგულში. ის უნდა იყოს გასაგები ამ მასებისათვის და უყვარდეს მათ. მან უნდა გააერთიანოს ამ მასების გრძნობა, აზრი და ნება, მან უნდა აამაღლოს ისინი"2).

ლენინმა მწყობრ თეორიულ სისტემად ჩამოაყალიბა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული თეორიის პრინციპები, განავითარა და კონკრეტულად დააზუსტა მარქსისტული ესთეტიკის გაგება და წარსული კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების ფორმები. დებორინის მომენშევიკო იდეალიზმის ზეგავლენით ლიტერატურათმცოდნეობაში ერთგვარად „გაბატონებული" იყო ყალბი, უსაფუძვლო შეხედულება, თითქოს მარქსისტული ესთეტიკის ფუძემდებელი ყოფილიყოს პლეხანოვი. მომენშევიკო იდეალისტები ბოგდანოველები. დებორინელები, ხალხის მტრები — ტროცკისტ - ბუხარინელები შეგნებულად უგულებელჰყოფენ ლენინურ ეტაპს, რომელიც წარმოადგენდა მარქსიზმის შემდგომ განვითარებას.

ლენინმა თავის წერილებში ტოლსტოის შესახებ სრულყოფილად ჩამოაყალიბა თეორიული კონცეპცია, რომელიც ზუსტად შეისწავლის ამათუ იმ ისტორიულ - ლიტერატურულ მოვლენას და ცალკეული მწერლის შემოქმედება - აზროვნებას. ლენინმა გასაოცრად მოიმარჯვა მარქსისტული დიალექტიკა, პროლეტარიატის კლასობრივი თვალსაზრისით, მეცნიერულად გაარკვია ლევ ტოლსტოის შემოქმედებისა და აზროვნების შინაგან წინააღმდეგობათა რაობა და გამოიყვანა ისეთი გაბედული დასკვნები, როგორიც მხოლოდ ლენინს შეეძლო. ლენინის ეს გაბედული დასკვნები გადაიქცა შემდგომში მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების საფუძვლად. ლენინმა ამ წერილებში დაარღვია შიშველი სოციოლოგიზმის შაბლონიური მეთოდი, გააფართოვა მეცნიერული კვლევის საზღვრები და, ნაკლები წინააღმდეგობებით სვლის ნაცვლად, მან დამოუკიდებლად მიაღწია მხატვრული აზროვნების ანალიზის ისეთ მეთოდსა და მხატვრული ღირებულების ისეთ საზომს, როგორიც მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა პირად წერილებში, რომლებიც გვიან გახდნენ ცნობილი.

ლენინმა ტოლსტოის შემოქმედების ორმაგი ბუნების ახსნა სოციალურ მოვლენათა სფეროში მოაქცია. როგორადაც საოცარი არ უნდა ყოფილიყო შიშველი სოციოლოგებისა და მექანისტებისათვის, ლენინმა გაბედულად დააყენა ტოლსტოის სახელი რევოლუციის გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ ტოლსტოის შეხედულება, მთლიანად აღებული, მავნებელი იყო. წერილში „ლევ ტოლსტოი, როგორც სარკე რუსეთის რევოლუციისა", ლენინი სწერდა: „დიდი მხატვრის სახელის რევოლუციის გვერდით დაყენება, რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც იგი აშკარად დაშორდა, პირველი შეხედვით საოცრად და ხელოვნურად მოგვეჩვენება"... მაგრამ „თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას რევოლუციის ზოგიერთი არსებითი მხარე მაინც უნდა აესახა თავის ნაწარმოებებში". ანალიზის დიალექტიკური თანმიმდევრობითი განვითარებით ლენინმა ტოლსტოის მხატვრულ ნაწერებში კიდევაც მონახა რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგიერთი არსებითი მხარე და აღნიშნა, რომ „ტოლსტოი დიდია, როგორც გამომხატველი იმ იდეებისა და განწყობილებებისა, რომლებიც შეიქმნა მილიონ რუს გლეხს შორის რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყების დროისათვის. ტოლსტოი ორიგინალურია, ვინაიდან მისი შეხედულებები, რომლებიც მავნებელნი არიან თუ მთლიანად ავიღებთ, გამოხატავენ ჩვენი რევოლუციის, როგორც გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციის, თავისებურებას".

ლენინს, რომელიც სიყრმის წლებიდანვე მთელი გატაცებით იყო ჩაბმული რევოლუციურ მუშაობაში, უზომოდ უყვარდა დიდი რეალისტები პუშკინი, ჩერნიშევსკი, ნეკრასოვი, გოგოლი, ტოლსტოი, სალტიკოვ-შჩედრინი, ჩეხოვი, გორკი და დიდ დროს ანდომებდა მათ ნაწარმოებთა კითხვას. ამ მწერლების ნაწარმოებებს იგი კითხულობდა რამდენჯერმე „თავისუფლად" (ცხოვრების დროს, გადასახლებაში, ემიგრაციაში. ლენინი განსაკუთრებული სიმპატიით უყურებდა იმ მწერლებს, რომელთაც რაიმე ღვაწლი მიუძღოდათ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. მაგრამ ამ ღვაწლს ლენინი, მექანისტების მსგავსად, ვიწრო თვალსაზრისით როდი უყურებდა, იგი ისტორიულად სჭვრეტდა და თვით დეკაბრისტებშიაც კი ხედავდა ერთგვარ დამსახურებას მომავალი რევოლუციების წინაშე. ლენინი ხაზს უსვამდა დეკაბრისტების თავადაზნაურულ ლიბერალურ ბუნებას, მაგრამ მათ ისტორიულ დამსახურებად სთვლიდა იმას, რომ ხელი შეუწყეს მოწინავე იდეების გავრცელებას და გერცენის გაღვიძებას. გერცენი კი თავის მხრივ წარმოადგენდა 60-70-იანი წლების რევოლუციური ხალხოსნების წინამორბედს, რომლების ხელმძღვანელიც იყო ნ. ჩერნიშევსკი, ხოლო იდეურ შეხედულებათა გამომხატველი პოეზიაში ნ. ნეკრასოვი. ლენინი მწერლის შეფასებისას აუცილებლივ აღნიშნავდა ყოველ დამახასიათებელ დეტალს, მაგრამ ის ეძებდა ძირითადს. წამყვანს და ამის მიხედვით იძლეოდა მისი შემოქმედების საერთო შეფასებას, სახელმძღვანელო დასკვნებს. მაგალითად, ლენინი ნათლად ხედავდა ნეკრასოვის მერყეობას ლიბერალებსა და დემოკრატებს (ჩერნიშევსკის) შორის, მაგრამ აღნიშნავდა, რომ მისი სიმპატიები მერყეობის დროსაც კი ჩერნიშევსკის მხარეზე იყო და იგი ძირითადად რევოლუციური დემოკრატიაო. ნეკრასოვმა და შჩედრინმა საკმაო ენერგიით ამხილეს, გაჰკიცხეს და დაგმეს თვითმპყრობელურ - ბიუროკრატიული მონარქიული რეჟიმი.

ლენინი სასტიკად დაესხა თავს პროლეტკულტის მენშევიკურ-ბოგდანოვურ კონცეპციას, რომლის თვალსაზრისითაც პროლეტარული კულტურა და ლიტერატურა უნდა შექმნილიყო და განვითარებულიყო, წარსული კულტურული მემკვიდრეობის, მუშათა კლასის, კომუნისტური პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურისაგან დამოუკიდებლად. პროლეტ - კულტელებთან ბრძოლა ლენინმა აიყვანა უაღრესად პრინციპულ სიმაღლეზე და ამავე დროს დარაზმა პარტია და მწერლობა კონტრრევოლუციური ტროცკიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ტროცკიზმის, რომელიც უარყოფდა სოციალისტური კულტურისა და ლიტერატურის შექმნის შესაძლებლობას.

ილიჩი, — ამბობს ნ. კრუპსკაია, — იბრძოდა პროლეტკულტის არა „საქმიანობის" წინააღმდეგ, არამედ მის ფილოსოფიის წინააღმდეგ, იმ ფილოსოფიის წინააღმდეგ, რომელსაც ავითარებდნენ ბოგდანოვის მოწაფეები, ძველი კულტურის მემკვიდრეობის უარყოფისა და სათბურების წინააღმდეგ. ლენინმა იმ რეზოლუციის პროექტში, რომელიც მან დაწერა 1920 წლის 8 ოქტომბერს პროლეტკულტის პირველი ყრილობისათვის, სასტიკად დაჰგმო პროლეტკულტის შემცდარი თეორიული კონცეპცია, მკვეთრად ჩამოაყალიბა პარტიის პოლიტიკა სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში და გადაჭრით მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ გატარება. ამ პროექტში ლენინმა მოგვცა ნათელი დებულებები, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედო პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 და 1932 წლების დადგენილებებს.

მაგრამ აშკარა შეცდომა იქნებოდა, თუ ლენინის ლიტერატურულ შეხედულებათა შესწავლისას დავკმაყოფილდებოდით მხოლოდ იმ შრომებითა და შენიშვნებით, სადაც ლენინი უშუალოდ ეხება კულტურისა და ლიტერატურის საკითხებს. ლენინის ყოველი შრომა წარმოადგენს მატერიალისტური დიალექტიკის კლასიკურ ნიმუშს მეცნიერებათა ყველა დარგის მუშაკისათვის. ლენინის ყველა სტატია, შენიშვნა გვასწავლის, თუ როგორ უნდა იქნას მომარჯვებული დიალექტიკური მეთოდი პრაქტიკული კვლევის პროცესში, წარსულისადმი დამოკიდებულებისა და ჩვენი ეპოქის ლიტერატურულ ღირებულებათა შესწავლის დროს.

დიდმა **სტალინმა** დაიცვა და განავითარა მარქსის, ენგელსისა და ლენინის შეხედულებანი ლიტერატურისა და ესთეტიკის სფეროში, ისევე, როგორც თეორიისა და პრაქტიკის ყველა სხვა დარგებში. პარტიამ **სტალინის** ხელმძღვანელობით გაანადგურა კონტრრევოლუციური ტროცკისტ - ბუხარინელთა უბადრუკი ცდები, — აეცდინათ სწორი გზიდან და შეეფერხებინათ სოციალისტური კულტურისა და მწერლობის განვითარება. **სტალინის** ლოზუნგმა სოციალისტური რეალიზმის შესახებ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ, რომლის სულის ჩამდგმელიც არის დიდი **სტალინი**, უზრუნველჰყვეს სოციალისტური ლიტერატურის თვალთწარმტაცი აღმავლობა იმ გზით, რომელიც დაგვისახა უდიდესმა გენიოსმა და მგზნებარე რევოლუციონერმა **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა**.

ერ. ასტვაცატუროვი.

---

1) ლენინი, ტომი VIII.
2) კლ. ცეტკინის მოგონება ლენინზე.

პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის დადგენილება

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმს აუცილებლად მიაჩნია მიაპყროს პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების ყურადღება იმას, რომ ისინი, ატარებენ რა დიდ მუშაობას თავისი რიგების გასაწმენდად ფაშიზმის ტროცკისტულ-მემარჯვენე აგენტებისაგან, ამ მუშაობის პროცესში უშვებენ სერიოზულ შეცდომებსა და დამახინჯებებს, რომლებიც ხელს უშლიან პარტიის გაწმენდის საქმეს თვალთმაქცებისაგან, ჯაშუშებისაგან, მავნებლებისაგან. მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის არაერთგზის მითითებისა და გაფრთხილებისა, პარტიული ორგანიზაციები ბევრ შემთხვევაში სრულიად არასწორად და დანაშაულებრივ - ქარაფშუტულად უდგებიან კომუნისტების გარიცხვას პარტიიდან.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი არაერთხელ მოითხოვდა პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელებისაგან პარტიის წევრებისადმი ყურადღებით, ინდივიდუალურ მიდგომას პარტიიდან გარიცხვის ან საქ. კ. პ. (ბ)-დან არასწორად გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენის საკითხების გადაწყვეტისას.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმი თავის 1937 წ. 5 მარტის გადაწყვეტილებაში ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე“ მიგვითითებდა:

„ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ისინი ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან ადამიანებს, პარტიის წევრებს, მუშაკებს. უფრო მეტიც, ისინი არ სწავლობენ მუშაკებს, არ იციან, რით ცხოვრობენ ისინი და როგორ იზრდებიან ისინი, საერთოდ არ იცნობენ თავის კადრებს. სწორედ ამიტომ ისინი არ იჩენენ ინდივიდუალურ მიდგომას პარტიის წევრებისადმი, პარტიის მუშაკებისადმი. ხოლო ინდივიდუალური მიდგომა მთავარ საქმეს შეადგენს ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობაში. და სწორედ იმიტომ, რომ ისინი არ იჩენენ ინდივიდუალურ მიდგომას პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკების შეფასებისას, ისინი ჩვეულებრივ განუსჯელად მოქმედებენ: ან აქებენ მათ ხელაღებით, უზომოდ, ან და ხელაღებით ურტყამენ მათ აგრეთვე უზომოდ, პარტიიდან რიცხავენ ათასობით და ათიათასობით. ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელნი საერთოდ ცდილობენ იაზროვნონ ათეულ-ათასობით, არ ზრუნავენ რა „ერთეულებზე“, პარტიის ცალკეულ წევრებზე, მათს ბედილბალზე. პარტიიდან ათასობით და ათიათასობით ადამიანთა გარიცხვას ისინი სულ უბრალო საქმედ სთვლიან და თავს იმით ინუგეშებენ, რომ ჩვენი პარტია დიდია და ათიათასობით გარიცხულთ არ შეუძლიათ შესცვალონ რამე პარტიის მდგომარეობაში. მაგრამ პარტიის წევრებისადმი ასეთი მიდგომა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომელნიც არსებითად ღრმად ანტიპარტიული არიან.

ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ხელოვნურად იქმნება უკმაყოფილება და გაბოროტება პარტიის ერთ ნაწილში.

გასაგებია, რომ ტროცკისტი თვალთმაქცები მარჯვედ იგდებენ ხელში ასეთ გაბოროტებულ ამხანაგებს და მოხერხებულად ითრევენ მათ თავისკენ ტროცკისტული მავნებლობის ჭაობში“.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ამავე გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„დაგმობილ იქნას პრაქტიკა ფორმალური და უსულგულო ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა პარტიის ცალკეულ წევრთა ბედილბლის, პარტიის წევრების პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენის საკითხისადმი.

დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს გამოიჩინონ მაქსიმუმი სიფრთხილისა და ამხანაგური მზრუნველობისა პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას“.

1936 წლის 24 ივნისის წერილში „პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის დროს პარტიიდან გარიცხულთა აპელაციების განხილვისას დაშვებული შეცდომების შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა პარტიული ორგანოების არასერიოზულ, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში, უსულგულო - ჩინოვნიკურ დამოკიდებულებაზე პარტიიდან გარიცხულთა აპელაციების გარჩევისადმი:

„წინააღმდეგ ც. კ-ის მითითებებისა, — ნათქვამია ამ წერილში, — გარიცხულთა აპელაციების განხილვა მეტად ნელა მიმდინარეობს. ბევრი გარიცხული თვეობით ცდილობს — გარჩეულ იქნას მათ მიერ შეტანილი აპელაციები. დიდძალი აპელაციების განხილვა ხდებოდა დაუსწრებლად, აპელაციის შემტანთა განცხადებების სრულიად შეუმოწმებლად, აპელაციების შემტანთათვის იმ შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარეშე, რომ მიეცათ დაწერილებითი ახსნა-განმარტებანი პარტიიდან მათი გარიცხვის მიზეზების თაობაზე.

მთელ რიგ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში დაშვებულ იქნა სრულიად შეუწყნარებელი თვითნებობა პარტიიდან გარიცხულების მიმართ. ისეთებს, რომლებიც პარტიიდან გარიცხული იყვნენ სოციალური წარმოშობის დაფარვისა და პასიურობისათვის, და არა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათი მტრული მოქმედების მოტივებით, ავტომატიურად ხსნიდნენ სამუშაოდან, ართმევდნენ ბინებს და ა. შ.

ამრიგად ამ პარტორგანიზაციების პარტიული ხელმძღვანელნი, ჯეროვნად არ შეითვისეს რა პარტიის მითითებანი ბოლშევიკური სიფხიზლის შესახებ, პარტიული დოკუმენტების შემოწმების დროს გარიცხულთა აპელაციების განხილვისადმი თავისი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებით ხელს უწყობდნენ პარტიის მტრებს“.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მიცემული ჰქონდათ გამაფრთხილებელი მითითებანი.

და მაინც, მიუხედავად ამისა, ბევრი პარტორგანიზაცია და მათი ხელმძღვანელები განაგრძობენ პარტიის ცალკეულ წევრთა ბედისადმი ფორმალურ და უსულგულო - ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას.

ცნობილია საკმაოდ ბევრი ფაქტი, როცა პარტიული ორგანიზაციები სრულიად შეუმოწმებლად და, მაშასადამე, დაუსაბუთებლად რიცხავენ კომუნისტებს პარტიიდან, ართმევენ მათ სამუშაოს, ხშირად აცხადებენ კიდეც, სრულიად უსაფუძვლოდ, ხალხის მტრებად, უკანონობას და თვითნებობას სჩადიან პარტიის წევრების მიმართ.

ასე, მაგალითად: **აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა** 1937 წლის 5 ნოემბრის ერთ სხდომაზე მექანიკურად დაადასტურა 279 კაცის გარიცხვა პარტიიდან; **სტალინგრადის ოლქკომმა** 26 ნოემბერს დაადასტურა 69 კაცის გარიცხვა; **ნოვოსიბირსკის ოლქკომმა** 28 ნოემბერს მექანიკურად დაადასტურა საქ. კ. პ. (ბ) რაიკომთა გადაწყვეტილებანი პარტიიდან 72 კაცის გარიცხვის შესახებ; **ორჯონიკიძის** სამხარეო პარტიულ ორგანიზაციაში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგიამ გააუქმა, როგორც არასწორი და სრულიად დაუსაბუთებელი, გადაწყვეტილებანი პარტიიდან 101 კომუნისტის გარიცხვის შესახებ 160 კაციდან, რომლებსაც შეტანილი ჰქონდათ აპელაციები; **ნოვოსიბირსკის** პარტიულ ორგანიზაციაში ამგვარადვე საჭირო გახდა 80-დან 51 გადაწყვეტილების გაუქმება; **როსტოვის** პარტორგანიზაციაში 66-დან გაუქმებულ იქნა 43 გადაწყვეტილება; **სტალინგრადის** პარტორგანიზაციაში — 103-დან 58; **სარატოვისაში** — 134-დან 80; **კურსკის** პარტორგანიზაციაში — 92-დან 56; **ვინნიცის** პარტორგანიზაციაში — 337-დან 164 და ა. შ.

ხარკოვის ოლქის ბევრ რაიონში „სიფხიზლის“ საბაბით ადგილი აქვს მრავალრიცხოვან ფაქტებს, როცა პარტიიდან გარიცხულ და უპარტიო მუშაკებს უკანონოდ ითხოვენ სამუშაოდან და უარს ეუბნებიან სამუშაოს მიცემაზე. ზმიევის რაიონში 1937 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში უმიზეზოდ მოხსნეს სამუშაოდან 36 მასწავლებელი და განზრახულია კიდევ 42-ის დათხოვნა. შედეგად, ტარანოვკის, ზამოსტიაჟნოეს, სკრიპაევკის და სხვა სოფლების სკოლებში არ ასწავლიან ისტორიას, სსრ კავშირის კონსტიტუციას, რუსულს, უკრაინულს და უცხო ენებს.

ქ. ზმიევში საშუალო სკოლაში ბიოლოგიას ასწავლიდა მასწავლებელი ჟურკო, დაბადებული 1904 წელს, კოლმეურნის ქალიშვილი, — 8-წლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონე, პედინსტიტუტის მე-4 კურსის დაუსწრებელი მსმენელი. ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა შენიშვნა მის ძმაზე, რომელიც პედაგოგად მუშაობს ქ. იზიუმში, როგორც ნაციონალისტზე. ეს საკმაო აღმოჩნდა ჟურკოს სამუშაოდან დათხოვნისათვის. ამხ. ჟურკოს დათხოვნასთან დაკავშირებით, პოლიტიკური უნდობლობა გამოეცხადა მის ქმარს და დაისვა საკითხი აგრეთვე მისი დათხოვნის შესახებაც. შემოწმებისას კი გამოირკვა, რომ შენიშვნა ჟურკოს ძმის შესახებ ცილისმწამებლური აღმოჩნდა და იგი სამუშაოდან არ მოუხსნიათ.

ქ. ხარკოვში ერთი დაპატიმრებული ტროცკისტი ქალის გორსკაიას საქმეზე შინსახკომის ორგანოებმა დაჰკითხეს როგორც მოწმე, ტინიაკოვის სახელობის ფაბრიკის ქარხკომის მუშაკ ქალს ეინგორნს. შინსახკომში მისი გამოძახების შესახებ მან აცნობა სპეცნაწილის უფროსს სემიონოვს, რომელმაც ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დასვა ქარხნის პარტკომის სხდომაზე საკითხი ეინგორნის კავშირის შესახებ ტროცკისტ გორსკაიასთან. ამის შედეგად, ეინგორნი მოხსნეს ქარხკომში მუშაობიდან და დაითხოვეს. ეინგორნის დის ქმარი, რომელიც ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, დათხოვნილ იქნა იმისთვის, რომ „არ აცნობა მისი ცოლისდის კავშირის შესახებ ტროცკისტებთან“.

საქ. კ. პ. (ბ) კურსკის ოლქკომმა სრულიად შეუმოწმებლად, დაუსწრებლად გარიცხა პარტიიდან და დააპატიმრებინა პარტიის წევრი დმიტრო-ტარანოვსკის შაქრის ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე ივანჩენკოვა, მიაწერა რა მას შეგნებული კონტრრევოლუციური მომზადება უპარტიო მუშის კულინიჩენკოს გამოსვლისა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წინასაარჩევნო კრებაზე. შემოწმებისას გამოირკვა, რომ ივანჩენკოვას მთელი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ წინასაარჩევნო კრებაზე უპარტიო მუშა კულინიჩენკო, მას შემდეგ, რაც მან უამბო კრებას თავისი ცხოვრების შესახებ, დაიბნა გამოსვლის დროს და დაავიწყდა დაესახელებინა უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი.

კუიბიშევის ოლქის ბევრ რაიონში პარტიიდან გარიცხულ იქნა მრავალი კომუნისტი იმ მოტივით, რომ ისინი ხალხის მტრები არიან. ამავე დროს, შინსახკომის ორგანოები ვერავითარ საფუძველს ვერ პოულობენ პარტიიდან ამ გამორიცხულთა დაპატიმრებისათვის. მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ბოლშე-ჩერნიგოვის რაიკომმა პარტიიდან გარიცხა და ხალხის მტრებად გამოაცხადა 50 კაცი რაიონულ პარტორგანიზაციაში მყოფ 210 კომუნისტის საერთო რაოდენობიდან, მაშინ, როცა ამ გამორიცხულებიდან 43-ის მიმართ შინსახკომის ორგანოებმა ვერავითარი საფუძველი ვერ ნახეს დაპატიმრებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის კუიბიშევის ოლქის პარტკოლეგიაში ცხადდებიან ბევრნი საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მიერ გარიცხულნი, როგორც ხალხის მტრები, და მოითხოვენ ან დააპატიმრონ ისინი, ან მოხსნან მათ სამარცხვინო დაღი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს სხვა პარტორგანიზაციებშიც.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სთვლის, რომ ყველა ეს და მსგავსი ფაქტები პარტორგანიზაციებში გავრცელებულია უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ კომუნისტებს შორის არსებობენ, **ჯერ კიდევ არ არიან გამომჟღავნებული და მხილებული ცალკეული კარიერისტი - კომუნისტები, რომლებიც ცდილობენ თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიებით, ცდილობენ პარტიის წევრთა წინააღმდეგ ხელაღებითი რეპრესიების გამოყენების გზით თავი დაიზღვიონ სიფხიზლის ნაკლებობაში შესაძლო ბრალდებებისაგან.**

ასეთი კარიერისტი - კომუნისტი ფიქრობს, რომ რაკი პარტიის წევრზე შეტანილია განცხადება, თუნდაც არასწორი ან პროვოკაციულიც კი, იგი, პარტიის ეს წევრი, საშიშია ორგანიზაციისათვის და საჭიროა რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს მისგან, რათა თავი გამოიყვანოს ფხიზელ კაცად. ამიტომ მას ზედმეტად მიაჩნია ობიექტურად გაერკვეს კომუნისტისათვის წაყენებულ ბრალდებებში და წინასწარ სწყვეტს, რომ აუცილებელია მისი გარიცხვა პარტიიდან.

ასეთი კარიერისტი - კომუნისტი, სურს რა მოიპოვოს დამსახურება, სრულიად განურჩევლად ავრცელებს პანიკას ხალხის მტრების შესახებ და ადვილად იწყებს ყვირილს პარტკრებებზე რაიმე ფორმალური საბუთით, ან სრულიად უსაბუთოდ პარტიიდან პარტიის წევრთა გარიცხვის შესახებ. პარტიული ორგანიზაციები კი ხშირად კუდში მისდევენ ასეთ მყვირალა კარიერისტებს.

ასეთი კარიერისტი - კომუნისტი გულგრილად ეკიდება პარტიის წევრთა ბედილბალს და მზად არის შეგნებულად უმართებულოდ გარიცხოს პარტიიდან ათობით კომუნისტები იმისათვის, რომ თვითონ ფხიზელ კაცად გამოიყურებოდეს. იგი მზად არის მცირემნიშვნელოვანი დანაშაულებისათვის გარიცხოს პარტიის წევრები პარტიიდან, რათა მიიწეროს „დამსახურება“ მტრების მხილებაში, ხოლო თუ ზემდგომი პარტიული ორგანოები აღადგენენ პარტიიდან უმართებულოდ გარიცხულთ, ოდნავ უხერხულობასაც არ გრძნობს და სდგება იმ ადამიანის პოზაში, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ მან ყოველ შემთხვევაში დაიზღვია თავი „სიფხიზლის“ მხრივ.

პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები იმის ნაცვლად, რომ ყალბი სიფხიზლის ნიღაბი ჩამოგლიჯონ ასეთ „კომუნისტებს“ და სააშკარაოზე გამოიყვანონ ისინი, ხშირად თვითონ უქმნიან მათ პარტიის რიგების სიწმინდისათვის ფხიზელ მებრძოლთა შარავანდედს.

დროა ვამხილოთ ასეთი უკაცრავად პასუხია კომუნისტები და დავგმოთ ისინი, როგორც კარიერისტები, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ დამსახურება პარტიიდან გარიცხვებით, ცდილობენ თავი დაიზღვიონ პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიებით.

შემდეგ, ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა ხალხის შენიღბული მტრები, მავნებელ-თვალთმაქცები პროვოკაციული მიზნებით აწყობენ ცილისმწამებლურ განცხადებათა შეტანას პარტიის წევრებზე და „სიფხიზლის გაშლის“ საბაბით აღწევენ საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან პატიოსანი და თავდადებული კომუნისტების გარიცხვას, რითაც იცდენენ დარტყმას და თავს ინარჩუნებენ პარტიის რიგებში.

ხალხის მხილებული მტერი, საქ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების განყოფილების ყოფილი გამგე შაცკი და მისი თანამონაწილეები, სარგებლობდნენ რა საქ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელთა პოლიტიკური სიბეცით, პარტიიდან რიცხავდნენ პატიოსან კომუნისტებს, აშკარად არასწორი სასჯელი გამოჰქონდათ მუშაკებისათვის, ყოველნაირად აბოროტებდნენ კომუნისტებს და ამავე დროს ყველაფერს აკეთებდნენ, რაც კი შესაძლებელი იყო, თავისი კონტრრევოლუციური კადრების შესანარჩუნებლად პარტიაში.

იმავე როსტოვში, საქ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის სკოლების განყოფილების ყოფილმა გამგემ ხალხის მტერმა შესტოვამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით როსტოვის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციაში ჩაატარა 30-დე პატიოსანი კომუნისტის გარიცხვა პარტიიდან.

უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი, ხალხის მტერი კუდრიავცევი პარტიულ კრებებზე გამოსულ კომუნისტებს მუდამ მიმართავდა პროვოკაციული კითხვით: „თქვენ კი თუნდაც ვინმეს შესახებ დაგიწერიათ განცხადებაო?“ ამ პროვოკაციის შედეგად კიევში შეტანილ იქნა პოლიტიკურად სახელგამტეხი განცხადებანი ქალაქის პარტორგანიზაციის წევრთა თითქმის ნახევარზე, ამასთან განცხადებათა უმეტესობა აღმოჩნდა აშკარად არასწორი და პროვოკაციულიც კი.

საქ. კ. პ. (ბ) ქ. სტალინგრადის ბარიკადის რაიკომის აწ მხილებულმა მტრულმა ხელმძღვანელობამ „ანტისაბჭოთა ლაპარაკისათვის“ პარტიიდან პროვოკაციულად გარიცხა და დააპატიმრებინა პარტიის წევრი 1917 წლიდან მოხნატკინი, ყოფილი წითელი პარტიზანი, ქარხანა „ბარიკადის“ ერთერთი უდიდესი საამქროს უფროსი. როგორც შემოწმების შედეგად გამოირკვა, ეს „ანტისაბჭოთა ლაპარაკი“ იმაში გამოიხატებოდა, რომ ამხ. მოხნატკინი ამხანაგებთან საუბარში უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ სოფლსაბჭო უსულგულოდ ეპყრობოდა იმ პარტიზანულ რაზმის მეთაურის, სამოქალაქო ომის წლებში თეთრებთან ბრძოლის დროს მოკლულის შვილებს, რომელშიც მოხნატკინი იყო მეთაურის თანაშემწედ. ამხ. მოხნატკინი პარტიის წევრის უფლებებში მხოლოდ მას შემდეგ იქნა აღდგენილი, როცა საქმეში ჩაერია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია.

პარტიულ აპარატში შემძვრალი მტრების პროვოკაციული მუშაობის ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ აგრეთვე ვორონეჟის, კრასნოდარის, ჩელიაბინსკის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

ყველა ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ მრავალმა ჩვენმა პარტორგანიზაციამ და მათმა ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ შესძლეს შეემჩნიათ და ემხილებინათ **ოსტატურად შენიღბული მტერი, რომელიც ცდილობს ყვირილით სიფხიზლის შესახებ შენიღბოს თავისი მტრობა და თავი დაირჩინოს პარტიის რიგებში — ეს ერთი, — და მეორე, ცდილობს რეპრესიათა ზომების გატარების გზით — გაანადგუროს ჩვენი ბოლშევიკური კადრები, დასთესოს დაურწმუნებლობა და ზედმეტი ეჭვიანობა ჩვენს რიგებში.**

ასეთი შენიღბული მტერი — უბოროტესი გამცემელი — ჩვეულებრივ ყველაზე მაღლა გაჰყვირის სიფხიზლეზე, ჩქარობს რაც შეიძლება უფრო მეტი „ამხილოს“ და ყოველივე ამას სჩადის იმ მიზნით, რომ დაჰფაროს თავისი საკუთარი დანაშაულობანი პარტიის წინაშე და ჩამოაშოროს პარტიული ორგანიზაციის ყურადღება ხალხის ნამდვილი მტრების მხილებას.

ასეთი შენიღბული მტერი — საზიზღარი თვალთმაქცი — ყოველნაირად ისწრაფვის შექმნას პარტორგანიზაციებში ზედმეტი ეჭვიანობის ვითარება, როცა პარტიის თვითეულ წევრს, რომელიც ვინმეს მიერ ცილდანაწამები მეორე კომუნისტის დასაცავად გამოვიდა, დაუყოვნებლივ ბრალს სდებენ სიფხიზლის უქონლობაში და ხალხის მტრებთან კავშირ-ურთიერთობაში.

ასეთი შენიღბული მტერი — საძაგელი პროვოკატორი — იმ შემთხვევებში, როცა პარტორგანიზაცია იწყებს კომუნისტზე შეტანილი განცხადების შემოწმებას, ყოველნაირად ჰქმნის პროვოკაციულ ვითარებას ამ შემოწმებისათვის, კომუნისტის გარშემო სთესავს პოლიტიკური უნდობლობის ატმოსფეროს და ამით, საქმის ობიექტიური გარჩევის ნაცვლად, მის წინააღმდეგ აწყობს ახალ განცხადებათა ნაკადს.

პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ გამოამჟღავნონ და ამხილონ ასეთი შენიღბული მტრის პროვოკაციული მუშაობა, ხშირად კუდში მისდევენ მას, უქმნიან მას დაუსჯელობის ვითარებას პატიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ ცილისწამებისათვის და თვითონ ადგებიან პარტიიდან მასობრივი დაუსაბუთებელი გარიცხვის, სასჯელთა დადების გზას და ა. შ. კიდევ მეტი, თვით იმ მტრების მხილების შემდეგაც, რომელნიც შეიპარნენ პარტიულ აპარატში და ცილს სწამებენ პატიოსან კომუნისტებს, ჩვენი პარტიული ხელმძღვანელები ხშირად არ იღებენ ზომებს პარტიულ ორგანიზაციებში მავნებლობის ლიკვიდაციისათვის პარტიიდან კომუნისტების არასწორ გარიცხვათა მხრივ.

დროა ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ და მათმა ხელმძღვანელებმა ამხილონ და ბოლომდე **მოსპონ შენიღბული მტერი**, რომელიც შეიპარა ჩვენს რიგებში და ცდილობს ყალბი ყვირილით სიფხიზლის შესახებ დაჰფაროს თავისი მტრობა და თავი დაირჩინოს პარტიაში, რათა განაგრძოს მასში თავისი საზიზღარი გამცემლური მუშაობა.

რით აიხსნება, რომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დღემდე არ ამხილეს და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრეს არათუ კარიერისტი-კომუნისტები, რომელნიც ცდილობენ თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, არამედ შენიღბული მტრებიც პარტიის შიგნით, რომელნიც ცდილობენ სიფხიზლის შესახებ ყვირილით დაჰფარონ თავისი მტრობა და თავი დაირჩინონ პარტიაში, რომელნიც ცდილობენ რეპრესიათა ზომების გატარების გზით გაანადგურონ ჩვენი ბოლშევიკური კადრები და დასთესონ ზედმეტი ეჭვიანობა ჩვენს რიგებში?

ეს აიხსნება დანაშაულებრივ - ქარაფშუტული დამოკიდებულებით პარტიის წევრთა ბედილბლისადმი.

ყველასათვის ცნობილია, რომ ბევრი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელი აღმოჩნდა პოლიტიკურად ბეცი საქმოსანი, მათ საშუალება მისცეს ხალხის მტრებს და კარიერისტებს გვერდი აევლოთ მათთვის და ქარაფშუტულად მეორეხარისხოვან მუშაკებს მიანდეს მთლიანად იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც პარტიის წევრთა ბედილბალს ეხებიან, და დანაშაულებრივად განზე გადგნენ ამ საქმის ხელმძღვანელობისაგან.

საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მათი ხელმძღვანელები არათუ ასწორებენ ანტიპარტიულ, ბოლშევიზმისათვის უცხო პრაქტიკას პარტიიდან კომუნისტების გარიცხვის საქმეში, არამედ ხშირად თვითონ, თავისი არასწორი ხელმძღვანელობით, ნერგავენ ფორმალურ და უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას პარტიის წევრებისადმი და ამით ჰქმნიან ხელსაყრელ ვითარებას კარიერისტ-კომუნისტებისა და პარტიის შენიღბული მტრებისათვის.

არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, საქმეში გარკვევის შემდეგ, დაეგმოთ პარტიის წევრებისადმი ხელაღებითი, საერთო მიდგომის პრაქტიკა, პასუხისგებაში მიეცათ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები პარტიიდან კომუნისტების დაუსაბუთებელი და არასწორი გარიცხვისათვის.

პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ არასწორად გამორიცხულთა მიმართ შეცდომების გამოსწორებას შეუძლია ძირი გამოუთხაროს პარტიის ავტორიტეტს და ავნოს ხალხის მტრების მხილების საქმეს, მათ არ ესმით, რომ პარტიიდან არასწორი გარიცხვის თვითეული შემთხვევა ხელსაყრელია პარტიის მტრებისათვის.

ბევრ საოლქო და სამხარეო ორგანიზაციაში სრულიად უმოძრაოდ აწყვია დიდძალი განუხილველი აპელაციები. როსტოვის ოლქში არ არის განხილული 2500-ზე მეტი აპელაცია, კრასნოდარის მხარეში—2.000, სმოლენსკის ოლქში—2.300, ვორონეჟის ოლქში—1.200, სარატოვის ოლქში—500 და სხვ.

საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა, ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, ხელი აიღეს რა გარიცხულთა აპელაციების განხილვაზე, წინააღმდეგ პარტიის წესდებისა, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე გადააქციეს უაპელაციო და საბოლოო გადაწყვეტილებებად.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტები არსებითად განზე გადგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ხელმძღვანელობისაგან ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე საკითხში, პარტიის წევრთა ბედილბლის საკითხში, და ამ საკითხის გადაჭრა მიანდეს თვითდინებას, ხშირად კი თვითნებობასაც.

საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტები თვითონ უწყობენ ხელს პარტიიდან მასობრივ, ხელაღებით გარიცხვათა პრაქტიკას იმით, რომ დაუსჯელად სტოვებენ იმ პარტიულ ხელმძღვანელებს, რომლებიც უშვებენ თვითნებობას კომუნისტების მიმართ.

დროა ბოლო მოვუღოთ ბოლშევიკებისათვის უცხო, ფორმალურ და უსულგულო ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი.

დროა შევიგნოთ, რომ:

„[illegible] პარტიის წევრისათვის მეტად დიდ და სერიოზულ საქმედ გახდა და პარტიის წევრობა ან პარტიიდან გარიცხვა—ეს დიდი გარდატეხაა ადამიანის ცხოვრებაში“.

დროა შევიგნოთ, რომ:

„პარტიის რიგითი წევრებისათვის პარტიაში ყოფნა ან პარტიიდან გარიცხვა—ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“. (სტალინი).

დროა შევიგნოთ, რომ ბოლშევიკური სიფხიზლის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გქონდეს უნარი ამხილო მტერი, რარიგ ცბიერიც და გაქნილიც უნდა იყოს იგი, რა სამოსელითაც უნდა ირთვებოდეს იგი, და არა იმაში, რომ განურჩევლად ან „ყოველი შემთხვევისათვის“ ათობით და ასობით რიცხავდე პარტიიდან ყველას, ვინც ხელში მოგხვდება.

დროა შევიგნოთ, რომ ბოლშევიკური სიფხიზლე არათუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს უნარს გამოიჩინო მაქსიმუმი სიფრთხილე და ამხანაგური ზრუნვა პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში გარიცხულების აღდგენის საკითხების გადაჭრისას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოითხოვს ყველა პარტიული ორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელებისაგან ყოველნაირად გააძლიერონ პარტიული მასების ბოლშევიკური სიფხიზლე, ბოლომდე ამხილონ და აღმოფხვრან პარტიის ყველა ნებსითი და უნებლიე მტერი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანეს პირობად სთვლის—ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი ხელაღებითი, არაინდივიდუალური, საერთო მიდგომის ანტიპარტიული პრაქტიკის სრულ ლიკვიდაციას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და ყველა პარტიულ ორგანიზაციას გადაჭრით მოუღონ ბოლო პარტიიდან მასობრივ, ხელაღებით გარიცხვებს და ნამდვილად დააწესონ ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომა პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში გარიცხულთა აღდგენის საკითხების გადაჭრისას.

2. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მოხსნან პარტიული პოსტებიდან და მისცენ პარტიულ პასუხისგებაში ის პარტიული ხელმძღვანელები, რომელნიც არ ასრულებენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, პარტიიდან რიცხავენ საქ. კ. პ. (ბ) წევრებსა და კანდიდატებს ისე, რომ გულმოდგინეთ არ ამოწმებენ მთელ მასალას, და უშვებენ თვითნებობას პარტიის წევრთა მიმართ.

3. წინადადება მიეცეთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიებს სამი თვის ვადაში დაამთავრონ პარტიიდან ყველა გარიცხულის აპელაციათა განხილვა.

4. დაევალოს ყველა პარტიულ კომიტეტს თავის დადგენილებებში პარტიიდან კომუნისტების გარიცხვის შესახებ ნათლად და ზუსტად აღნიშნონ მოტივები, რომლებიც გახდა გარიცხვის საფუძველი, რათა ზემდგომ პარტიულ ორგანოებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეამოწმონ ამ დადგენილებათა სისწორე, ხოლო რაიკომის, საქალაქო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის ან ნაცკომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თვითეული ასეთი დადგენილება აუცილებლად გამოქვეყნდეს პრესაში.

5. დაწესდეს, რომ პარტიული ორგანოები, აღადგენენ რა პარტიის წევრთა უფლებებში ადგილობრივი პარტორგანიზაციების მიერ უმართებულოდ გამორიცხულთ, ვალდებული არიან თავის დადგენილებებში ზუსტად აღნიშნონ, თუ საქ. კ. პ. (ბ) რომელმა რაიკომმა, საქალაქო კომიტეტმა უნდა მისცეს პარტიაში აღდგენილს პარტიული დოკუმენტები.

6. დაევალოთ პარტიის რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს დაუყოვნებლივ მისცენ პარტიული დოკუმენტები პარტიაში აღდგენილთ, ჩააბან ისინი პარტიულ მუშაობაში და განუმარტონ პირველადი პარტორგანიზაციების ყველა წევრს, რომ ისინი პასუხს აგებენ საქ. კ. პ. (ბ) რიგებში აღდგენილთა ბოლშევიკური აღზრდისათვის.

7. დაევალოთ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელნიც დამნაშავენი არიან პარტიის წევრებისათვის ცილისწამებაში, სავსებით მოახდინონ პარტიის ამ წევრთა რეაბილიტაცია და გამოაქვეყნონ პრესაში თავისი დადგენილებანი იმ შემთხვევებში, როცა წინასწარ მოთავსებული იყო პრესაში პარტიის წევრის სახელგამტეხი მასალები.

8. აეკრძალოთ პარტორგანიზაციებს შეიტანონ კომუნისტის სააღრიცხვო ბარათში პარტიიდან მისი გარიცხვის ფაქტი საპელაციო საჩივრის განხილვამდე და გარიცხვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

9. აიკრძალოს არასწორი, მავნე პრაქტიკა, როცა საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულებს დაუყოვნებლივ ხსნიან მათ მიერ დაკავებული თანამდებობიდან.

დაწესდეს, რომ ყველა შემთხვევაში, როცა საჭირო ხდება, საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხვასთან დაკავშირებით, განთავისუფლებულ იქნას მუშაკი დაკავებული თანამდებობიდან, ეს განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მისთვის მხოლოდ სხვა სამუშაოს მიცემის შემდეგ.

10. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს არაუგვიანეს 1938 წლის 15 თებერვლისა უზრუნველჰყონ სათანადო საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საშუალებით საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა მიღება სამუშაოზე და შემდეგში არ დაუშვან ისეთი მდგომარეობა, რომ საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულნი სამუშაოს მოკლებულნი რჩებოდნენ.

შოთა რუსთაველი საკონცერტო დარბაზში

გიორგი გიახელი

რუსთაველი და ბეთხოვენი

აი დარბაზი — ლამაზი და ჩუქურთმიანი,
სადაც ისმოდა ბეთხოვენის უკვდავი ხმები—
აქ შეხვდნენ ახლა: პოეტი და ოქროხმიანი
საუკუნეთა ქარტეხილის მარად თანმხლები.

ბრძენს და გენიოსს ხელში ჰქონდა წიგნი დიადი,
ჰანგის ჯადოქარს ეოემართა გულის სიმები.
და ორთავეს კი თავზე ედგათ, ვით განთიადი
საკაცობრიო სინათლე და ოქროს სხივები.

შეხვდნენ ერთმანეთს გმირი ხალხის დღესასწაულზე,
ორმა მხატვარმა განიცადა დიდება ტკბილი.
ვდგავარ მათ შორის, გაღიმებულ სახეზე ვუმზერ,
მგონია... თითქოს არც აჩნიათ ძველი ტკივილი.

მგოსანი მიესალმა ბელადს

ტაშის ქუხილში სამახსოვრო რა ბევრი დამრჩა.
რუსთველის წიგნის მარგალიტი თურმე სად არ შევს!
და აი, შოთამ მიატოვა სურათის ჩარჩო
და ყუნაზესმა მიაშურა მაღალ სავარძელს.

დროშათა შორის საოცრებო ციურ ციმციმით
დადიოდა ის, ვინც ვერ მოჰკლა ძველმა ცხოვრებამ,
მგოსანი ბელადს მიესალმა გულსავსე ღიმით,
მერე ჩარჩოში კვლავ მოთავსდა, ვით უკვდავება.

დიდმა რაინდმა მოიარა შვიდასი წელი,
რომ მოენახა დრო დიდ განძთა დამფასებელი,
რუსთველის აზრი ეკლესიას რომ ვერ დაება,
ახლა დარბაზში მეტყველებდა, ვით უკვდავება.

შეხვედრა გამოფენაზე.

მეორე დილით, ცაზე დაღვრილ თბილისის მზეში,
ჩვენ იმას შევხვდით გამოფენის ძვირფას ნივთებთან—
ხელნაწერებში, ბრინჯაოში, თიხის სურებში
შოთას ეპოქის საოცრება თვალს იტაცებდა.

რუსთაველისადმი

ი. მჭედლიშვილი

ჟამთა სიღრმიდან მისმინე შოთავ,
მისმინე, შენით შვების მგრძნობელსა,
მისმინე, მივწვდე, რამაც მაშფოთა,
მივწვდე შენს სიტყვას მიუწვდომელსა.
შენ — მზეთა მზეო, მძლეველო მძლეთა,
კაცობრიობის გრძნობავ და სიბრძნევ!
ჩვენს ალტკინებას და ზეიმს შენდა
ნუთუ არა ჰგრძნობ, არაფრად იმჩნევ?!

ჩამდგარხარ ჟამთა შორის ღიმილით
სიტყვამახვილი, გონება-ბასრი,
და დათრგუნვილი გვყავს ჩვენ სიკვდილი
მაგ მანძილიან სიტყვით და აზრით.
შენ ლექსით დაგაქვს, ვით უკვდავებას,
აზრი, გრძნობა და სამშობლო ჩვენი
და შენს მემკვიდრეს არ უთავდება
ეგ მადლიანი განძი და ძღვენი.

მარქვი, სად არის შენი აკლდამა,
წმინდა აკლდამა, დიდება ჩვენი?
რომელმა მიწამ დაისაკუთრა
გული, მსოფლიო აზრთ ღმომქშენი?...
გეძებთ, ძიება სიცოცხლეს გვმატებს,
გზებს ვიკვლევთ შენსკენ წყნარად და მშვიდად:
შენი სახელი ღამით გვფენს ნათელს
და დღისით გვიძევს გზათა და ხიდად!

დღეს დაგვირგვინდა დიდება შენი
ჯერ აუხსნელი აუხსნელთ შორის
და უკვდავება — შენი გამჩენი—
კვლავ ჩვენთან არის, ვით სწორთან სწორი.
და მოგვევლინე კვლავ ნარნარა მზედ,
ვით ჩვენი დროის საამო ძღვენი
და ჩვენი დროვე დაგზრუნავს თავზე,
როგორც მსოფლიოს უბადლო ბრძენი.

მზადება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავისათვის

თბილისის თეატრები, ცირკი, რადიო-კომიტეტი, კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია და საქფილეგთი ფართოდ ემზადებიან წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავისათვის.

სასახელო დღესასწაულის ერთთვიურის განმავლობაში ყველა თეატრში წარმოდგენებზე წითელარმიელთა და სამხედრო მოსამსახურეთათვის გამოყოფილი იქნება განსაზღვრული რაოდენობის ადგილები.

მოზარდ მაყურებელთა თეატრები უფშემადგენლობის ბავშვთათვის გამართავენ წარმოდგენებსა და კონცერტებს.

თებერვლის პირველ რიცხვებში საშეფო ძალების მონაწილეობით სპეციალური პროგრამით ჩატარებული იქნება რადიო-დღე.

მუსიკალური სასწავლებლები წითელი არმიის სახლში და წითელარმიელთა კლუბებში მოაწყობენ ნიჭიერ ახალგაზრდათა კონცერტებს. რადიო-კომიტეტი და კონსერვატორია მოაწყობენ სპეციალურ კონცერტებს წითელი არმიის სახლში და შინსახკომის კლუბში.

საქფილეგთს შემუშავებული აქვს წითელი არმიის მხატვრული მომსახურების ერთთვიური გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, საქფილეგთთან არსებული სიმფონიური ორკესტრისა და საკონცერტო ძალების მონაწილეობით წითელარმიელთა სახლში და შინსახკომის კლუბში მოეწყობა კამერული კონცერტების ციკლი. მომღერალთა გუნდები, სახელმწიფო კაპელა, მეჩონგურეთა ანსამბლი გამოვლენ წითელარმიელთა კლუბებსა და ნაწილებში. ისინი საამისოდ ამზადებენ სპეციალურ პროგრამებს, რომლებშიაც შეტანილია ახალი მხედრული სიმღერები, სპეციალურად დაწერილი ქართველ მწერალთა და კომპოზიტორთა მიერ ზემოაღნიშნულ ანსამბლებისათვის.

გარდა ამისა, საქფილეგთის საესტრადო თეატრში ყოველდღიურად წითელარმიელთათვის გამოყოფილი იქნება განსაზღვრული რაოდენობის ადგილები.

თებერვლის დამლევს წითელარმიელთა სახლში, კლუბებში და საშეფო ნაწილებში ჩატარებული იქნება ხელოვნების მუშაკთა და წითელი არმიის წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომები ერთთვიურის შესაჯამებლად. ამასთან ერთად მოეწყობა წითელარმიელთა მხატვრული თვითმოქმედების საჩვენებელი საღამოები.

მოქანდაკე ვ. ლ. სიმონოვმა დაასრულა ქანდაკება „საბჭოების ხელისუფლებისათვის". ქანდაკება გამოხატავს კომისარ ტოლმაჩოვს და დაჭრილ წითელ არმიელს წითელ გორკაზე.

ხალხის უბოროტესი მტრები აღგვილი იქნენ

25 იანვარს საქართველოს უზენაეს სასამართლოს წინაშე წარსდგა შინსახკომის ორგანოების მიერ აღმოჩენილი და ლიკვიდირებული კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა ბანდა, რომელიც თავის შავბნელ საქმიანობას ეწეოდა მეცხოველეობის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტში.

საბრალმდებო სკამზე ისხდნენ ხალხის უბოროტესი მტრები—სახ. მეცხოველეობის სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი შ. დადიანი, ამავე ინსტიტუტის საკვები ბაზის განყოფილების ყოფილი გამგე ა. სანაძე, ამ ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ი. გარსიაშვილი, ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ლექტორი და მეცხოველეობის სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ - თანამშრომელი შ. ყიფიანი, ზოოვეტერინალური ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ნ. ჯაფარიძე, მეცხოველეობის ინსტიტუტის საკვები ბაზის ყოფილი მეცნიერი თანამშრომელი დ. მჭედლიშვილი და ამავე განყოფილების ყოფილი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. ტიმოფეევი.

არ შეიძლება საბჭოთა მოქალაქემ უღრმესი აღშფოთებით არ წაიკითხოს საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი ცნობები, რომლების ყოველი მუხლი ცხადყოფს ამ საზიზღარ ბოროტმოქმედთა მხეცურ სიძულვილს საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი აყვავებული სამშობლოსადმი.

ამ უმსგავსო და უბადრუკი ბანდიტების ხროვამ სხვა გარეწრებთან ერთად მოინდომა საბჭოთა საქართველო მოეწყვიტა საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური ოჯახისათვის, აღედგინა ჩვენში კაპიტალისტების, მემამულეებისა და კულაკების მიერ მუშებისა და გლეხების საშინელი ექსპლოატაცია.

ამ უმსგავსო და უბოროტესი ზრახვების განსახორციელებლად ხალხის მოღალატეთა ამ ბანდამ ხელი მიჰყო მავნებლობას საქართველოს სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად და წამყვან დარგში—მეცხოველეობაში. აიფარეს რა მზაკვრულად თავიანთ სახეზე სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაკთა ნიღაბი, ეს გარეწრები არ ზოგავდნენ ძალღონეს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ჩასაშლელად. პირველ ყოვლისა, მათ სცადეს მოეწყოთ პირუტყვის მასობრივი ამოხოცვა. ამ მიზნით მათ მოინდომეს ძირი გამოეთხარათ საკვები ბაზისათვის. ძვირფასი ჯიშის ცხვრების ერთ ნაწილს ისინი გაძლიერებულ საკვებს აძლევდნენ იმ ბოროტი განზრახვით, რომ დაემტკიცებიათ მათი მოშენების არარენტაბელობა და უსარგებლობა. მეტწილად კი საუკეთესო ჯიშის პირუტყვს ეს გარეწრები სიმშილით ხოცავდნენ. ხელოვნურად ავრცელებდნენ გადამდებ ავადმყოფობას, ფლანგავდნენ და ფლანგავდნენ სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობისათვის გაღებულ სახსრებს, ბოროტი განზრახვით ამუშავებდნენ ისეთ „სამეცნიერო" თემებს, რომელთაც არ შეიძლებოდა რაიმე პრაქტიკული შედეგი გამოეღოთ.

ხალხის მტრებმა თავიანთი ბოროტმოქმედება სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტში გაშლილი მავნებლობით როდი შემოფარგლეს. მათ თავიანთი შავბნელი საქმიანობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც გადაიტანეს. გარეწრები არავითარი ღონისძიების წინაშე არ იხევდნენ, რომ დაენგრიათ და გაენადგურებიათ მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმები. საკოლმეურნეო ფერმებში წარმოებულ მავნებლურ მუშაობას ის მიზანი ჰქონდა, რომ მინიმუმამდე შეემცირებიათ კოლმეურნეთა შემოსავალი მეცხოველეობიდან, გული აეცრუებიათ კოლმეურნეთათვის სოფლის მეურნეობის ამ ძირითადი დარგის განსავითარებლად გაშლილ მუშაობაზე, ხოლო [illegible] ჩაეშალათ მშრომელი მოსახლეობისათვის ხორცის, რძის, [illegible]სა და ტყავეულობის მომარაგება.

მაგრამ ხალხის ამ გაუსწორებელ მოსისხლე მტრებს არ დასცალდათ თავიანთი მზაკვრული მიზნების განხორციელება. ისინი უსუსურნი და უძლურნი აღმოჩნდნენ შეეჩერებიათ მეცხოველეობის წინსვლა. სოფლის მეურნეობის ამ დარგის ენტუზიასტებმა — კოლმეურნეებმა და მუშებმა, მიუხედავად ხალხის მტრებთა მზაკვრული მავნებლური მოქმედებისა, შესძლეს მეცხოველეობის ყველა დარგის აყვანა უფრო მაღალ საფეხურზე.

ჩვენი სახელოვანი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოები ფხიზლად დარაჯობენ სოციალიზმის მონაპოვარს ორდენოსან საქართველოშიც და ძირფესვიანად ანადგურებენ ტროცკისტ - ბუხარინელ მავნებელთა სოროებსა და ბუნაგებს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუნჭულში. ვერც ერთი კონტრრევოლუციური ქვეწარმავალი ვერ დაემალება შინსახკომის მახვილ თვალს, ვერც ერთი მათგანი ვერ გაექცევა საბჭოთა ხალხის სამსჯავროს.

ამ შხამიანი გველების გასრესა, მათი აღგვა პირისაგან მიწისა ერთსულოვნად მოითხოვა საქართველოს საბჭოთა ხალხმა, რომელიც არავის არ შეაბღალვინებს სისხლითა და ოფლით მოპოვებულს თავის ბრწყინვალე გამარჯვებას, და უზენაესმა სასამართლომაც შეასრულა ხალხის სურვილი.

მოსისხლე მტრების უკანასკნელი ნაშთების სასიკვდილო გაბრძოლებას საქართველოს მშრომელი ხალხი უპასუხებს თავისი რევოლუციური სიფხიზლის უფრო მეტი გაძლიერებით, დაუნდობელი ბრძოლით და დაუცხრომელი შრომით სოციალიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოებლად.

დამთავრდა საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში მომქმედი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

განაჩენი

27 იანვარს დილის 3 საათზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ ამხ. მ. ისაკაძემ გამოაქვეყნა განაჩენი. სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ყველა ბრალდება, რომლებიც წაყენებული ჰქონდათ ბრალდებულებს შ. ნ. დადიანს, ა. ა. სანაძეს, ი. დ. გარსიაშვილს, შ. ვ. ყიფიანს, ნ. ა. ჯაფარიძეს, დ. ს. მჭედლიშვილს, მ. ს. ტიმოფეევს და მიუსაჯა: შ. ნ. დადიანს, ა. ა. სანაძეს, ი. დ. გარსიაშვილს, შ. ვ. ყიფიანს, ნ. ა. ჯაფარიძეს — სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა ქონების კონფისკაციით.

დ. ს. მჭედლიშვილს და მ. ს. ტიმოფეევს მიესაჯათ თვითეულს ოცი წლის პატიმრობა ქონების კონფისკაციით და უფლებების შეზღუდვით სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლის ვადით.

განაჩენი საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

ბრალდებულებს საშუალება მიეცათ შეიტანონ განცხადება შეწყალების შესახებ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში ან საქართველოს სსრ ცაკში.

* * *

პროცესის დამსწრე საზოგადოება — ტფილისის საწარმოების მუშა - მოსამსახურენი, ინსტიტუტთა პროფესორები, სტუდენტები და მეცხოველეობის სპეციალისტები უდიდესი კმაყოფილებით და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სასამართლოს განაჩენს.

ზღაპარი სინამდვილისა

ა. ბელიაშვილი

შაჰ-თამაზის შუბლზე ასპიტის თავივით ელავდა უზარმაზარი ალმასი. შაჰ-თამაზი ყოველთვის მზის პირდაპირ დგებოდა, რომ ალმასის შუქით ქვეშევრდომთათვის თვალი მოეჭრა. ამიტომ იყო, რომ შაჰს ვერავინ უმართავდა თვალს და ყოველთვის დამხობილნი იყვნენ ყველანი მის წინაშე.

ახლაც მუხლებზე დაჩოქილი მისი ერთგული ქაიხოსრო ათაბაგი რიდითა და კრძალვით მოახსენებდა.

— აი იმ კლდეებში, რომელთა ანათებს შუქნი თქვენი თვალისა, საგანძურია უამრავი, რომელს ეწოდების ვარძია. და არის იმ კლდეებში სენაკები უთვალავი და ტაძარი გამოკვეთილი კლდეებს შიგან, შემკული მრავალის ხატითა, ოქრო-ვერცხლითა და თვალით პატიოსანით, და აქვს ციხესა მას ორი ბჭე რკინისა და ერთიც ოქროსი, ნაჭედი დიდი ხელოვნებით და ოსტატობითა, რომელზე გამოკვეთილ არს სახე თამარის და მამისა მისის გიორგისა, ხოლო ამჟამად ციხესა შიგან მცირედისა ჯარითა იმყოფებიან მუნ პატრონნი შერმაზან და ვახუშტი დიასამიძენი.

შაჰი უსმენდა წარბ-შეკრული და გასცქეროდა ვარძიას. ცოტა მოშორებით შაჰს გვერდით უდგნენ სარდლები ისმაილხან და სახე გაჩეხილი სელიმხან. მათ შემდეგ მორჩილად თავდახრილნი იდგნენ ბეგლარბეგნი შაქ-შირვანისა, შამშადილისა, რანისა და პატრონი და მპყრობელი ჰერეთისა და კახეთისა ლევან. უფრო მოშორებით კი მობიბინე ველზე გაშლილიყო მტრის ლაშქარი, საპალნიანი ცხენებით და ბარგი-ბარხანით დატვირთული უამრავი აქლემით. ლაშქარს დაღლა ეტყობოდა. შაქიდან ისინი პირდაპირ ხერთვისისაკენ დაიძრნენ და გზად მხოლოდ ღამის გასათევად ჩერდებოდნენ. და აი მზე უკვე დასავლეთისკენ გადახრილიყო, როდესაც მათ წინაშე მტკვარს გაღმა, წამოიმართა კლდეში გამოკვეთილი ქალაქი. ლაშქარი შედგა და ყაენი წავიდა წინ სარდლებთან ერთად.

კარგა ხანს თათბირობდა შაჰ-თამაზი დიდებულებთან და გასცქეროდა ვარძიას. ბოლოს სელიმხანმა რაღაც უბრძანა. ეტიკს, რომელიც სწრაფად მიბრუნდა, ძუნძულით გაექცა ლაშქრისკენ და ხმა მაღლა დაიძახა.

— კარვები გაშალეთ, ბანაკად ვდგებით!

— მეომრები აიშალნენ, აქლემები დააჩოქეს, ცხენებს საპალნეები მოხსნეს და აბიბინებული მინდორი მა მოიმარჯვა. მინდორი მალე მოიფინა ათასგვარი კარვით. ბანაკის შუაში აიმართა ყაენის დიდი კარავი დარბაზით, პატარა ოთახებით, მოგებული თექის ხალიჩებით და გადატიხრული ყალამქარებით. კარვის თავზე აფრიალდა ყაენის ალამი.

ყაენი მობრუნდა, დიდებულებთან ერთად კარავში შევიდა, ტახტზე შესკუპებული მოშინაურებული მაიმუნი ხელის აქნევით ძირს ჩამოაგდო, დაჯდა და დიდებულებს მიმართა:

— ციხე ესე და ქვაბნი მიუვალად სჩანს. თუმცა არა არის რა ამა ქვეყნად მტკიცე რამ ისეთი, რომელიც წინა აღუდგეს ჩემს ძლიერებას, მაგრამ გვიჯობს წარვუგზავნოთ მას უსტარი, რათა ნებით მოვიდნენ კარავსა ჩემსა ხარაჯითა და მმორჩილებდნენ, ხოლო რისხვა ჩემი შეუცვალო მათ წყალობათ.

უკანასკნელ სიტყვაზე შაჰს თითონ გაეღიმა. დიდებულები მიხვდნენ და ერთმანეთს გადახედეს. შემდეგ ყაენმა მიმოიხედა და ვილაცას თვალით ძებნა დაუწყო.

— ზიადოღლ-შავერდ-სულთან-ნადარხან-უსტაჯარლუ, წინ წამოდექ!

დიდებულთა წრე გაირღვა და შაჰის წინ წარსდგა დაბალი და ჯუჯა კაცი საოცრად განიერი მხრებით და ო-სავით მოგრეხილი ფეხებით. შიშველ ყბებზე წვერი არა ჰქონდა, ხოლო ულვაშები ტუჩის ბოლოებზე მიჰკროდა. ზიადოღლიმ დაიჩოქა და შუბლი ნოხზე ამოქარგულ ქალის მკერდს დაადო. ის კარგად იცნობდა ამ ტახტის წინ საფენ ნოხს და ამ ქალსაც—მისი სხეულის ყოველ ნაწილზე ჰქონდა დადებული შუბლი ზიადოღლის და ყოველთვის სიამოვნებას ჰგვრიდა ამ ნოხზე დაჩოქება.

— შენ გავალებ ამ ქვაბების აღებას,—მიმართა შაჰ-თამაზმა და ზევიდან ოდნავ დახედა — მიუვალ კლდეებში გამოცდილი ხარ და უძლევი, ხოლო ჯილდოდ მიბოძები, შენთვის ულამაზესნი ქალნი, ამ ქვეყნის პატრონთა ნათესავნი, რომელნი იმყოფებიან ქვაბსა მას. ამჟამად ჯარი დააწყე საბრძოლად იყავით მზად და დილისათვის ელოდებოდეთ ჩემსა ბრძანებას.

ზიადოღლი ფეხის წვერებზე ემთხვია შაჰს და მაშინვე გავიდა.

— მდივანბეგო, დასწერე უსტარი!—უბრძანა ყაენმა მაღალსა და უცნაურად სახე-გაყვითლებულ კაცს, რომელმაც მაშინვე მიიკეცა, გულზე ჩამოკიდებული სამელნი შეისწორა, ქაღალდი გაშალა და ფრთ[illegible]

„მე, შაჰ-ტამაზი, ყოვლისა ცასა ქვეშისა უმაღლესი, მიმსგავსებული ანგელოზთასა, თანამდგომი ღვთისა მოვლინებული დიდისა ალაჰისაგან, მოგიმცნობთ თქვენ, უსჯულოთ ლორისა და ბამბაკის პატრონთ შერმაზნად და ვახუშტ დიასამიძესთ, აწ მე მოველ, რათა განგწყვართოთ თქვენ და ყმანი თქვენნი, არაოდეს აღებათ ხრმლისა, რომელიც ღმერთსა ჩვენთვის უბოძებია. ხოლო ცხოვრებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმა უწინარეს ამა უსტარის მოღებისა, თაყვანი მცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰმად-მოციქულისა და უარყოს სჯული თვისი, და ხელთა თვისითა იწყოს წინაშე ჩემისა ლეწად ჯვარისა, რომლისა მიმართ დაგიცავთ ცუდი სასოება".

ყაენმა ცერზე წამოცმული დიდი ბეჭედი დაასვა უსტარს, თვალი გადაავლო, დაახვია და გადასცა შიკრიკს.

შიკრიკი გაიქცა ქვაბებისკენ.

შაჰი ადგა, დიდებულებთან ერთად კარვიდან წამოვიდა და თავისი შუბლის დიდი ალმასის შუქი ვარძიის კლდეებს შეანათა.

ვარძიის თავზე მზე ჩადიოდა.

* * *

სენაკებში, გასაოცარი სიჩუმის შემდეგ, უცბად ატყდა ყურთს წამღები ყიჟინა, კივილი, შეძახებები და ჩახაჩუხი. შაჰმა დაამთავრა კლდეში გამოკვეთილი ქალაქის დათვალიერება, თავის კარავს მიაშურა, და მტრები შეუდგნენ ვარძიის ქონების საპალნეებად შეკვრას. ყაენმა ბრძანა, რომ მთელი ავლადიდება მის სალაროში წაეღოთ. როდესაც ბრძოლის შემდეგ დაღლილი და სისხლში ამოსვრილი მეომრები ყაენთან გამოცხადდნენ, მათ გაოცებით უამბეს შაჰ-თამაზს ზღაპრული შვენება ქვაბისა. მაშინ შაჰი თვითონ წაბრძანდა ამ შვენების სანახავად, ყველა სენაკი დაიარა და აღტაცებულმა ქაიხოსრო ათაბაგს თავისი ხალათი და ლორი-ბამბაკის პატრონობა უწყალობა.

შემდეგ მეომრებმა თავიანთი მკვდრების გატანა დაიწყეს. მზის ჩასვლამდე ეზიდებოდნენ მკვდრებს და ვარძიის ალაფს. მკვდრები ასპინძისაკენ ჩაჰქონდათ და იქ მარხავდნენ, ხოლო საპალნეებად შეკრული განძეული მიჰქონდათ ყაენის კარავთან და იქ აწყობდნენ.

გულზე სამელნე ჩამოკიდებული მდივანბეგი მთელ დღეს დადიოდა სენაკებში და განუწყვეტლად სწერდა. ადგენდა ნაალაფევის სიას, რომ არაფერი დაკარგულიყო და მთელი განძი უკლებლად მირთმეოდა ყაენს:

„ციხის შუაგულას არს ათი ადლი ქვა ოთხკუთხივ მოგრძე, ერთი ქვისაგან გათლილი და შიგნით და გარეთ ამისი კედელი, ოქროს და ლაჟვარდის სახენი კაცისა და ანგელოზისა მოჭედილნი, სულ სამოცდა ორი მოვხსენით კედლებსა მას, თუმცა ლაჟვარდი დაიმსხვრა სრულად და ოქრო იგი შთავდევით საპალნესა ა".

„ერთი ოქროს ხატი კაცის სახითა, აგებული, ტახტზედან აყუდებული, მურასათ მოჭედილი, მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტი მასზე მსხდომარე და ორის ლალით თვალთა ნაცვლად, რომელ ჯუჰაირის მცნეთ, თითო ორმოცდა ათ თუმნათ დააფასეს, კიდევ ხუთი დიდი ხატი ოქროსი და ორმოცდა ათი ვერცხლისა შთავდევით საპალნესა ბ".

„მურასად ნაჭედნი მცირედნი ხატნი ოქროსი სამას სამოცდა ხუთი შთავდევით საპალნესა გ, დ, ვ. ზ".

რკინის ორი ბჭე მოხსნეს და პირდაპირ აჰკიდეს აქლემებს. ოქროს ბჭე კი პატარა ნატეხებად აქციეს და საპალნედ შეჰკრეს. სამოცდაათლიტრიანი ჩამოსხმული სარეკელის წაღება არ მოხერხდა. ჩამოაგდეს და დაამტვრიეს. მდივან-ბეგი კი სწერდა და სწერდა სიაში ოქრო ვერცხლის მოკაზმულობას, მურასა ხატებს, კანდელებს, ოქროსა და ვერცხლის მძიმე შანდლებს, ოსტატურად ნაჭედ სურებს, მინანქრიან თასებს, ოქრომკედით ნაქარგ სამოსელს, სასაკმეველს და მოფენილობას, ქირმანის ხალიჩებს, ტრაპეზის შემკულობას, დროშებს და სიასამურის და კვერნის ბეწვეულს. ხუთასი საპალნე შეიკრა იმ დღეს და მდივანბეგი დარეტიანებული დალასლასებდა საკანიდან საკანში, ტაძრიდან ეკვდერებში და განუწყვეტლად ადგენდა სიას. ბანაკიდან ამოუტანეს და დაცარიელებული პატარა სამელნე ორჯერ აუვსეს.

როდესაც ჯერი წიგნებზე მიდგა, მდივანბეგს არაფერი აღარა ჰქონდა და ღონემიხდილი დასასვენებლად ჩამოჯდა. სათითაოდ მათი ჩაწერა ვეღარ შესძლო და მითვლით დაიწყო ჩაბარება. მაგრამ შემდეგ იმ იმედით, რომ წიგნს მაინც არავინ მოიპარავსო, უბრძანა პირდაპირ ჩაეყარათ უზარმაზარ ხურჯინებში. სიაში კი ჩასწერა: „წიგნები მრავალი და მრავალი, სულ ათორმეტი საპალნე". ბოლოს ადგა. დანარჩენის შესრულება უკვე ყორჩიბაშის საქმე იყო და ლასლასით გაემართა ბანაკისაკენ, სადაც ყაენს ნადიმი ჰქონდა გამართული.

მონებმა წიგნებიც საპალნეებად შეჰკრეს და ვიწრო ხვრელში ფრთხილად დაუწყეს ჩატანა. ერთი საპალნე მოსახვევში გაეჭედათ. ბევრი ჯაჯგურისა და წვალების შემდეგ საპალნე, როგორც იქნა, დასძრეს ადგილიდან. მაგრამ ამ წვალებაში საპალნის ერთი მხარე გაიხსნა, საიდანაც კარგა მოზრდილი წიგნი გამოვარდა, სიპზე დაცურდა, სარკმელში გაძვრა და ფრიალო კლდეზე გადაეშვა. ყორჩიბაში შეშინდა. წიგნს დასაჭერად გამოედევნა, სარკმელში გაიხედა და კლდეზე გადაეკიდა, მაგრამ გვიან იყო. წიგნი აღარა სჩანდა. დაკარგულიყო. ბოლოს ყორჩიბაშს გაახსენდა, რომ წიგნები მდივანბეგს მითვლილი არ ჰქონდა. ხელი ჩაიქნია და ისევ საპალნეს მიუბრუნდა. შაჰი წიგნის დაკარგვას ვერ გაიგებდა და ყორჩიბაშს თავი ისევ შერჩებოდა მხრებზე.

შემდეგ დაცლილ სენაკებს ნამუსრევის მომლოდინე მეომრები შეესივნენ და ხელიდან ჰგლეჯდნენ ერთმანეთს მკვდრების ტანსაცმელს, იარაღის ნამსხვრევებს, რკინის შუბისთავებს, ფქვილით სავსე კოდებს, სპილენძის თუნგებს, გამჭვარტლულ საკიდლებს და ხახვისა და ნივრის აკიდოებს.

ბოლოს ბანაკიდან მოისმა ბუკის ხმა და ყველამ დასტოვა სენაკები.

ყაენმა ბრძანა აშლილიყვნენ.

ბანაკი აფუსფუსდა, აიშალა და გორგალივით დაიხვა. შემდეგ აფრიალდა, ურჩხულივით შლა დაიწყო, ერთი თავით ზანტი ზლაზვნით გზაზე შეცურდა, გაიბაწრა, სრიალითა და კლაკნით შეუყვა გორაკებს, სერზე თავი აიჩოჩრა, თავისი ათასფერად აჭრელებული ზურგით გამაძღარ უნასივით ზანტად გადაცურდა მთის გადაღმა და თვალთაგან მიეფარა.

* * *

ქარმა, ჯავახეთის კლდეებში მონავარდე ქარმა საჯინჯვეებზე დაისისინა, შემდეგ ქედს გადაევლო, ტყეებს თავზე გადაურბინა, თმები აუფოროიაქა და აფრებით ჭალაში გადაკლაკნილ შარას დააცხრა. სტვენით გაიქროლა, მტვერი აიხვეტა, აბურათავა და, ცარიელ სენაკებს რომ შეასკდა, კივილი მორთო. გაუკვირდა. რამდენჯერ მიხეთქებია ამ ქვაბებს, მაგრამ კარებები ყოველთვის დახშული ხვდებოდა. გაფთრებული ეპოტინებოდა კლდეებს, ფრთებს სცემდა ბჭეებს, სამრეკლოს თაღში თავშერგული გამწარებით ღმუოდა, ხანდახან ზარის თოკსაც დაეხვეოდა, ჩამოჰკრავდა, მაგრამ კარს არავინ არ უღებდა. მაშინ გამწარებული ბრუნდებოდა უკან და ასწლიან მუხებს ეჯიდებოდა. გაფთრებული უგრეხავდა ტოტებს, მიწამდე ღრეკდა მათ კენწეროებს და შეილდივით დაჭიმულ ხეებიდან ასხლეტილი მიჰქროდა მაღლა და ცას აყრიდა გამხმარ ნეშოებს.

ახლა კი ქვაბის კარები ღია დაუხვდა და ფრთებ-გაშლილი შევარდა შიგნით. რამდენიმე სენაკი ქშუილით გაირბინა, შემდეგ ისევ გარეთ გამოვარდა და ველებს გადაჰკივლა. ხმა რომ არავინ გასცა, გაშმაგებული მიბრუნდა და თმა-გაწეწილი ისევ სენაკებში შევარდა, ზევით აირბინა, ვიწრო ხვრელებში კვნესით გაძვრა და ტაძარში შევარდა. კივილით შემოეხვია ჩუქურთმიან სვეტებს, იატაკზე დაყრილი ნაგავი ააფორიაქა, გულაღმა დაყრილ დახოცილ მეომრებს სახეებზე გადაურბინა და იქიდან თაღს შეასკდა. არასოდეს მას არ უგრძვნია ამდენი თავისუფლება და სიხარული. მარტოდ-მარტო იყო ამ ტაძარში, ამ სენაკებში და სიხარულით ცეკვავდა, სტვენდა და ჰკიოდა. ფრთებს აფრიალებდა და ხარხარებდა, გაშმაგებით ხარხარებდა. ერთხანს ბავშვივით ათამაშა რაზა მოგლეჯილი კარი, იქით-აქეთ არახუნა, შემდეგ თითქოს გაბრაზდა, მძლავრად დაეჯახა, გაგლიჯა, გარედ გავარდა, კლდეზე ფრთებით ჩამოეკიდა და ქანაობა დაიწყო. მოულოდნელად რაღაც პატარა საგანს გაიდო. მიტრიალდა და უფრო მძლავრად გაუქროლა. ადგილიდან ვერ დასძრა. მაშინ მთელი ძალით დაებღლვნა, ყდა წამოუშალა და გვერდები ხრიალით გადაფურცლა. სათამაშო მოეწონა. ახლა იქიდან დაუქროლა და გვერდები აქეთ გადმოატკაცუნა, გადიხარხარა. რაც შეეძლო კლდეების წვერამდე აიწია, იქიდან მთელი ძალით დაექანა და ისევ დააცხრა ფურცლებს. ძალუმად გაჰკრა, აჩეჩა, აატკაცუნა და დასაგლეჯად ჭიდილი დაუწყო. ვერ მოერია და გაბრაზდა. სუსხიანი თითებით ჩაათრინდა ფურცლებს. წიწდა, ეჯაჯგურებოდა, გაცოფებული ღრინავდა, მაგრამ ეტრატის ფურცლები მტკიცე აღმოჩნდნენ. ქარი გააფთრდა, გაგიჟდა. მას ქროლით კლდეები დაუქცევია, ხეები დაუთხრია და წყალნი აღმა წაუყვანია, მაგრამ აქ კი ძალა არა ჰყოფნიდა წიგნი მას რაინდივით დაუხვდა. ბასრი ფურცლებით სჭრიდა და სერავდა ქარს და ნელ-ნელა აჩოქებდა. ასე იბრძოდნენ დიდხანს ქარი და წიგნი. ქარი დაიღალა, მთვრალივით ლასლასი დაიწყო და ქანცმილეული ყოველ შეჯახებაზე ძლივს აბრუნებდა თითო ოროლა ფურცელს. ბოლოს სრულიად მოსწყდა, ქვემოთ ჩაცურდა, მტკვარზე დაწოლილ ნისლად იქცა და ქურდივით გაიპარა.

წიგნმაც დაუშვა თავისი ფურცლები და გადაშლილი შესცქეროდა მხიარულად აციმციმებულ ცისკრის ვარსკვლავს.

* * *

სალამურის ლიკლიკა ხმები და კუნტრუშა ხბოები ერთად მიხტოდნენ ნამით დაფარულ ბალახიან ფერდობზე. მათ წინ ფუსფუსებდნენ ცუკები და წვრილ-ცანცარა ვაცები. ქვიდან ქვაზე გადადიოდნენ და ციცაბო კლდეებზე უშიშრად ხტოდნენ. ხბოებს თან მოჰყვენ ჭკვიან-თვალებიანი დინჯი ხარები და ჯუგჯუგით მოსიარულე ბანჯგვალა ცხვრები. შემდეგ გამოჩნდა ყრმა მწყემსი გრძელი კომბლით და სალამურით.

ნახირი გაიშალა აბიბინებულ ზეგანზე. ყრმა მწყემსი კი ჩამოჯდა ციცაბოს ნაპირას, კომბალი მხარზე მიიყუდა და არწივისებური ბასრი თვალით ხეობას ჩახედა. ქვემოთ შხუოდა წვრილად ჩაკლაკნილი მტკვარი, კლდეებზე კი ლივლივებდნენ თეთრად გადაპენტილი გულყვითელა გვირილები.

მოულოდნელად მწყემსმა თვალი მოჰკრა რაღაც უცნაურ ოთხკუთხა საგანს

გადაშლილ წიგნს ჰგავდა.

წამოიწია და დააკვირდა.

ყრმას უყვარდა წერა და თავისი დანის წვერით მუდამ გამოჰყავდა ფიქალზე ასოები და სიტყვები. ქაღალდი და წიგნი, სადაც ბევრი ამბები და არაკები ეწერა, მას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

და ახლა თვალი მოჰკრა...

კომბალი განზე გადაისროლა, გუდა მოიხსნა, ძირს დააგდო, მოსხლტა ადგილიდან და ციცაბო კლდეზე თავგამეტებით დაიწყო ჩასვლა. ბანდულიან ფეხს თამამად ადგამდა სიპებზე. ხელებით მარჯვედ ებღაუჭებოდა ქიმებს და როდესაც ცოტათი დაიკავა, წიგნისკენ სირბილით გაექანა. ელვასავით გადაევლო ლოდებს და ღორღებში ბალახით ჩაკერებულ ჩონჩხებს. მივარდა და დახედა.

წიგნი იყო.

ეტრატის ფურცლები გაყვითლებულიყო და ალაგ-ალაგ მხატვრობას ხავსიც კი მოჰკიდებოდა.

ყრმამ წიგნი ფრთხილად და მოწიწებით აიღო, და, სიხარულით გულში რომ იხუტებდა, წიგნმა ფურცლებზე დაგროვილი ნამის ცრემლებით ყრმას უბე აუვსო.

წკრიალა სიმღერით შეუყვა აღმართს პატარა მწყემსი. აღტაცებული მიაბიჯებდა სიპებზე და ბროლივით გამჭვირვალე ხმით უმღეროდა ნაპოვნ წიგნს და ამომავალ მზეს.

ზეგანზე რომ ავიდა და მზემ თავისი შუქის შუბები მწვერვალებზე გადმოალაგა, ყრმამ წიგნის თავფურცელი გადაშალა და ახალგაზრდული ოდნავი ბორძიკით ამოიკითხა:

— ვეფხისტყაოსანი.

ფართო მკერდზე წვერ გადაფენილი, ჭაღარა შერთული დარბაისელი მთები, ჩაჩქანებიანი რაინდებივით წამოშლილიყვნენ, ჯიხვის რქის წარბები მაღლა აეკრათ და უბეებიდან ვაშასავით აფრენდნენ არწივებს.

დილის მზე ციმციმებდა და იცინოდა.

1937 წლის ქართული საბჭოთა პოეზია

გასული წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი წელი იყო მთელი ქართული საბჭოთა მწერლობისათვის, კერძოდ, საბჭოთა პოეზიისათვის. არ ყოფილა ჩვენი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ამ წელს არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ჩვენი მწერლობა, ჩვენი პოეზია არ გამოხმაურებოდეს. ჩვენს პოეტებს შორის ნამდვილი, შემოქმედებითი შეჯიბრება იყო გაშლილი იმისათვის, თუ ვინ უფრო უკეთ შესძლებდა აესახა და გამოეხატა ის, რაც ჩვენს ბედნიერ სამშობლოს აღელვებდა და იტაცებდა.

ჩვენი პოეტები არა მარტო პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდნენ ამა თუ იმ აქტუალურ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს, არამედ ამუშავებდნენ ერთსა და იმავე თემას ცალკე თემატიური კრებულების შესადგენად და გამოსაცემად. გასულ წელს გამოიცა კოლხიდის მშენებლობაზე დაწერილი ლექსებისა და პოემების კრებული, რუსთაველის საიუბილეო კრებული, უზენაეს საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებთა კრებული — დაწერილია და უახლოეს ხანში გამოიცემა საბჭოთა პატრიოტიზმის თემაზე შექმნილ ლექსთა, პოემათა და მოთხრობათა ერთტომეული.

მთელი ეს მდიდარი, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი პოეტური პროდუქცია საჭიროებს მოუდგომელ და სწორ შეფასებას.

რა წინსვლა განიცადა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ 1937 წელს, რა ახალი იდეური და მხატვრული თვისებები შეიძინა მან გასული წლის განმავლობაში? — აი ამ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი დისკუსიას, რომელიც კრიტიკოსთა სექციამ მოაწყო 25-26 იანვარს მწერალთა სასახლეში.

დავა არ გამოუწვევია მომხსენებლის ამხ. **გ. ნატროშვილის** დებულებას, რომ ქართული საბჭოთა პოეტების გააქტიურება გასულ წელს უზრუნველჰყო გრანდიოზულმა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებმა არნახულმა წარმატებებმა მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე, — სტალინური კონსტიტუციის ზეიმმა, ოქტომბრის დიდი რევოლუციის ოცი წლისთავის საყოველთაო სახალხო დღესასწაულმა, ხალხის მტრების — ტროცკისტულ-ბუხარინელ გარეწართა განადგურებამ, პუშკინის, ი. ჭავჭავაძისა და რუსთაველის, ე. ი. კლასიკური მწერლობის იმ დიდი კორიფეების საიუბილეო თარიღებისათვის მზადებამ, რომლებიც ძვირფასნი არიან ჩვენი ეპოქისათვის იმით, რომ თავიანთი ღრმა იდეურობით და მხატვრული ძლიერებით დღესაც მონაწილეობენ სოციალისტური ლიტერატურის, სოციალისტური კულტურის მშენებლობაში. სწორედ ამ დიდმა ისტორიულმა ამბებმა აღმოფხვრეს ქართულ საბჭოთა პოეზიაში ინდივიდუალისტური შეგნებას, ვიწრო კაბინეტური კარჩაკეტილობის, საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმის წვრილ-ბურჟუაზიული ნაშთები, საბჭოთა თემატიკისაკენ შემოაბრუნეს, გააქტიურეს ის პოეტებიც, რომელთა გარდაქმნას ხელოვნურად ბოროტი განზრახვით აფერხებდნენ ლიტერატურულ ორგანიზაციაში მოკალათებული მავნებელ-დივერსანტები. 1937 წელს კიდევ უფრო მეტად გამომჟღავნდა ქართული საბჭოთა მწერლობის პოლიტიკურ - მორალური მთლიანობა, მისი მჭიდრო დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის იდეებით, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადების, ხალხთა დიდი ბელადის **სტალინისადმი** ულრმესი სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულია 1937 წელს გამოცემულ კრებულებში მოთავსებული ლექსები და პოემები, ღრმა ლირიული ემოციურობა, ჰარმონიულად შეთავსებული სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილის პოლიტიკურ შეგნებასთან, აძლევს ამ კრებულებს ახალ იდეურ და მხატვრულ ხარისხს. ქართული საბჭოთა პოეზიის ამ ახალ თვისებას განსაკუთრებით გამოხატავს ის ფაქტი, რომ პოეტებში, საზოგადოებრივი წინსვლა, სოციალიზმის ყოველი გამარჯვება იწვევს გულწრფელ სიხარულს და აღტაცებას, როგორც ყოველი პიროვნების ბედნიერების, როგორც ყოველი ადამიანის ჰარმონიული განვითარების პირობა. ეს მჭიდრო დაკავშირება, ეს შედუღება პირადულისა და საზოგადოებრიობისა აკეთილშობილებს უაღრესად ინტიმურ გრძნობებს საზოგადოებრივი შეგნებით და მშობლიური, ინტიმური განცდის იერს აძლევს იმ საზოგადოებრივ მოვლენებს, რომლებსაც პოეტები ასახავენ.

ასაბუთებს რა ამ დებულებას გასული წლის პროდუქციის ანალიზით, მომხსენებელი დიდხანს ჩერდება იმ ნაკლზე, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს როგორც ქართულ ლირიკულ, ისე ეპიკურ ნაწარმოებებს. ამ ნაკლთაგან მთავარია გამოსახვითი საშუალებათა ერთფეროვნება, ყალბად გაგებული ხალხურობა (ხალხური ლექსების იმიტირება, ფოლკლორის გადაუმუშავებლად გამოყენება და სხვა), ლექსის კომპოზიციის ერთნაირობა, განყენებულად პეიზაჟებით გატაცება, ახალი ადამიანების სუსტი გამოსახვა, სუჟეტური კვანძის სუსტი შეკვრა, ნაკლები დინამიურობა და დრამატიულობა ეპიკურ ნაწარმოებებში. ჩვენი პოეტების შემდგომი მუშაობა სწორედ ამ ძირითად ნაკლთა აღმოფხვრისაკენ უნდა იქნას მიმართული.

კამათში მონაწილეობა მიიღო: **ი. აბაშიძემ, ა. გომიაშვილმა, ვ. გორგაძემ, ი. ლისაშვილმა, ვ. ჟურულმა, ს. ეულმა, ი. მოსაშვილმა, ბ. ჟღენტმა** და სხვ.

ამის მიუხედავად, რომ მომხსენებელს წამოყენებული ჰქონდა სადაო დებულებებიც (ხალხურობის პრობლემა, პეიზაჟის საკითხი კლასიკურ მწერლობაში და სხვ.), ზოგიერთების გამოკლებით, ოპონენტებმა დისკუსია ვერ აიყვანეს პრინციპიული კამათის სიმაღლემდე.

კამათში გამოსული პოეტების დიდი ნაწილი მომხსენებელს შეედავა მხოლოდ ამა თუ იმ გარჩეული ნაწარმოების ცალკე ადგილების შეფასებაში, გვერდი აუხვია შემოქმედებითი საკითხებს და არ ცდილა შეევსო მოხსენება იმით, რაც მომხსენებელს გამორჩა.

აღნიშნეს რა მოხსენების ზოგიერთი ნაკლი ოპონენტებმა კვლავ დააყენეს საკითხი ჩვენი კრიტიკის ჩამორჩენილობაზე. მაგრამ როგორც სამართლიანად სთქვა ბ. ჟღენტმა, სწორედ თვით ის მწერლები, რომლებიც ძალიან ხშირად ლაპარაკობენ კრიტიკის სისუსტეზე, არა თუ ხელს უწყობენ კრიტიკის დაძვრას ვიწრო ადგილიდან, არამედ ჰქმნიან მისი განვითარებისათვის მძიმე ატმოსფერას, მოითხოვენ რა კრიტიკისაგან არა პრინციპულ მიდგომას გასარჩევ ნაწარმოებისადმი, არამედ მას პირაღებით ქება-დიდებას.

აღსანიშნავია, რომ პოეტების დიდ ნაწილს დისკუსიაში არა თუ არ მიუღია მონაწილეობა, არამედ მის არც ერთ სხდომას არ დასწრებია.

რუსთაველის თეატრის მუზეუმი

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენოსან რუსთაველის თეატრში დაარსდა თეატრალური მუზეუმი. მუზეუმში ექსპონატები წარმოდგენილია ორ ნაწილად; პირველ ნაწილში შედის: ძველი ქართული თეატრალური ცხოვრება და ძველი თეატრის მიღწევები. ამ ნაწილში წარმოდგენილია ძველი ქართული თეატრის კორიფეების სურათები და პორტრეტები, მათი ხელთნაწერები, წერილები, პიესები, დრამები და სხვა. ამათში აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის პიესა „მაჩანკალი", „ვაჟა-ფშაველას წერილი ალექსი მესხიშვილის იუბილეიში მონაწილეობის მიღების შესახებ და სხვა.

მეორე ბევრად უფრო ვრცელ და დიდ განყოფილებაში წარმოდგენილია რუსთაველის თეატრის მიერ განვლილი ეტაპი, მისი დაარსების დღიდან დღემდე. ამ განყოფილებაში წარმოდგენილია ექსპონატები პირველი ქართული საბჭოთა სპექტაკლიდან „ცხვრის წყაროდან" უკანასკნელ სპექტაკლამდე „ნაპერწკლიდან"-მდე.

მუზეუმში მასალა ისეა განლაგებული, რომ მნახველს ნათლად წარმოუდგება თეატრის თანდათანი ზრდისა და განვითარების ეტაპები.

მუზეუმში გამოფენილია აგრეთვე მასალა რესპ. სახ. არტისტის შალვა დადიანის იუბილეის შესახებ, თეატრის მუშაობა თითოეული სპექტაკლის დასადგმელად და სხვა.

ყურადღებას იქცევს თეატრის წიგნი, სადაც ჩაწერილია მაყურებელთა აზრები სხვადასხვა დადგმაზე, ამათში აღსანიშნავია გერმანელ მწერლის ბეხერის, ესპანელ რესპუბლიკელთა მებრძოლების და სხვ.

„ვეფხის-ტყაოსნის" კონცერტი

ტფილისის ესტრადების აუდიტორია სრული კმაყოფილებით და მოწონებით შეხვდა მსახიობ **სურენ ქოჩარიანის** ინიციატივას — მის მიერ „ვეფხის-ტყაოსნის" ზეპირად წარმოთქმას (პ. პეტრენკოს თარგმანის მიხედვით).

ცხადია, მოუხერხებელია მთელი პოემის წაკითხვა ერთ სეანსად. ს. ქოჩარიანი კითხულობს მხოლოდ ზოგიერთ თავს, ხოლო გამოტოვებული თავების შინაარსს იგი საზოგადოებას თავისი სიტყვით მოუთხრობს.

ს. ქოჩარიანს სიყვარულითა და იშვიათი გულმოდგინეობით შეუსწავლია და წასაკითხად დაუმუშავებია გენიალური პოემა. რაც მთავარია, მსახიობს მიუგნია „ვეფხის-ტყაოსნის" ინტონაციისათვის, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოემის სწორი მხატვრული წარმოთქმისათვის, მხოლოდ სიტყვების შინაარსით, მხოლოდ მათი სემანტიკით არ შეიძლება გადაცემულ იქნას „ვეფხის-ტყაოსნის" მთელი სიდიადე. ბევრი რამ მსახიობმა უნდა გამოხატოს ხმის ვიბრაციით, პაუზებით, მოულოდნელი ინტერვალებით, ხმის ამაღლებით თუ დადაბლებით;

ს. კოჩარიანი გრძნობს ამას და ამიტომ ახერხებს კიდეც გადასცეს მსმენელს პოეტის შინაგანი ხმა მისი ვიბრაციებით, მისი აზრისა და გრძნობის ნიუანსებით.

ს. ქოჩარიანი ასცდა ერთს საფრთხეს—მონოტონობას. მსმენელი შეუნელებელი ინტერესით უსმენს პოემას მთელი სეანსის განმავლობაში, რადგან რუსთაველის სტროფები ქოჩარიანის წარმოთქმით ჟღერენ სხვადასხვაგვარად. ორკესტრია მრავალფეროვნებით. უეჭველია, ასეთ კითხვას ხელს უწყობს თვით პ. პეტრენკოს თარგმანიც, რომელიც არსებულ თარგმანებს შორის ყველაზე მეტად იცავს დედნის ინტონაციის მრავალფეროვნებას, რითმების თანმიმდევრობას, პაუზების განლაგებას და საერთოდ მთელი პოემის რიტმიულ სურათს.

ს. ქოჩარიანს უდიდეს დაძაბულობამდე აჰყავს პოემის ცალკეული ადგილები. განსაკუთრებით ძლიერი დრამატიზმით გადმოგვცემს იგი ლომსა და ვეფხვთან ტარიელის შებრძოლებას და ამ გმირის დაძაბულ სულიერ განწყობილებას.

მიუხედავად ამ დიდი ღირსებისა, „ვეფხის-ტყაოსნის" კონცერტი, როგორც ამ მხატვრულ კითხვას უწოდებს თვით მსახიობი ქოჩარიანი, არ არის მთლად უნაკლო...

პირველ ყოვლისა, არ შეგვიძლია გავიზიაროთ პოემის მონტაჟის ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც წაუკითხავი რჩება პოემის უშესანიშნავესი ადგილები (ავთანდილის ანდერძი, თათბირი ქაჯეთის აღების წინ და ბევრი სხვა), სადაც თავმოყრილია რუსთაველის მთელი სიბრძნე; გაუმართლებელია ამ თავების გამოტოვება იმ მოსაზრებით, რომ თითქოს ისინი არ თამაშობდნენ დიდ როლს პოემის სუჟეტის განვითარებაში, გაუმართლებელია მით უფრო, რომ პეტრენკოს ეს ადგილები განსაკუთრებული სიძლიერით აქვს ნათარგმნი. პოემის სიდიადეს მარტო მისი წარმტაცი ფაბულა კი არ გვაჩვენებს, არამედ იდეების ის სიუხვე, რომელსაც შეიცავენ სწორედ გამოტოვებული თავები. პოემის მონტაჟი უნდა გადაასინჯოს, შემცირდეს ზედმეტი დეტალები პოემის ბოლონაწილში და მათ ხარჯზე შეტანილ იქნას ავთანდილის ანდერძი, მიმართვა მნათობებისადმი, თათბირი ქაჯეთის აღების წინ და ზოგიერთა სხვა ადგილი.

გარდა ამისა, მსახიობმა უნდა შესცვალოს ტონი, როცა სტროფების წარმოთქმიდან გამოტოვებული თავების შინაარსის თხრობაზე გადადის და პირიქით.

სხვებრ ამხ. ს. ქოჩარიანის კითხვა უნაკლოა და იგი ყოველმხრივ მისასალმებელი მოვლენაა, როგორც ფართო მასებში „ვეფხის-ტყაოსნის" პოპულარიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ნ. ქ.

პიესა „მთაგრეხილზე"

დრამატურგმა სიმონ მთვარაძემ დასწერა პიესა „მთაგრეხილზე". პიესა გადმოგვცემს, თუ როგორ ეხმარება სოციალიზმის წინსვლის საქმეს საბჭოთა მეცნიერება.

თემატიური მასალა იშლება ერთ-ერთი რკინიგზის მშენებლობის ფონზე, სადაც პროფესორ საჩინო მროველის მეთაურობით საბჭოთა ახალგაზრდა მეცნიერების ბრიგადა ენტუზიაზმით შეებრძოლება ქედმოუხრელ მთებს.

რკინიგზის მშენებლობამ ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოში დიდი შეშფოთება გამოიწვია, რადგან ამ რკინიგზის გაყვანაში იგი ხედავდა თავისი აგრესიული გეგმის ჩაშლას. ამიტომ ამ სახელმწიფოს საიდუმლო დაზვერვის ორგანიზაციამ გადასწყვიტა, შეაფერხოს კვლევითი მუშაობა მთებში. ამ მიზნით დაზვერვის შტაბი მშენებლობის ადგილზე გზავნის დივერსანტს, რომელიც კავშირს დაიჭერს ჯერ კიდევ აქა-იქ დარჩენილ კონტრრევოლუციური ორგანიზაციების ნამსხვრევებთან.

ახალგაზრდა გეოლოგი როდამი, რომელიც დროებით წითელ არმიაში იყო გაწვეული, უბრუნდება მთებში მომუშავე სამეცნიერო ბრიგადას. მას იქ რამდენიმე ახალი თანამშრომელი დახვდა და იგი გაოცებულია, რომ ბრიგადა მთელ რიგ დაბრკოლებათა გამო საერთო ნერვიულობას მისცემია.

საალმშენებლო ინსტიტუტს ახალი ბრძანება გაუგზავნია მუშაობას შემმოწმებელი კომისიის მოხსენების საფუძველზე. ეს ბრძანება აშკარად ეწინააღმდეგებოდა პროფესორ საჩინოს პროექტს. იგი განსაკუთრებით უარჰყოფდა ახალი კონსტრუქციის გვირაბების პრაქტიკულ მნიშვნელობას და აგვიანებდა დასკვნების გამოტანას.

ამავე დროს მოულოდნელად მოდის ცნობა, რომ სურსათი დაიღუპაო, მშენებელი მუშები უპუროდ დარჩნენ რამდენიმე დღეს. ამას ახალი კატასტროფა მოჰყვა, უდროო-დროს მოსწყდა მთის კალთებს ზვავი და პროფესორთან ერთად საცდელი გვირაბების მშენებელი მუშები ყინულებსა და თოვლში ჩაიკეტნენ. თვითმფრინავის საშუალებით გამოირკვა მათი მდგომარეობა. მთიელთა შემწეობით ზვავები გაუჭრეს და მუშები და პროფესორი იხსნეს.

ამრიგად, პიესის ფაბულა მეტად დამაინტერესებელ დრამატურგიულ ხლართებში მიმდინარეობს. მოვლენათა რეალისტური განვითარებით იქმნება მძაფრი დრამატურგიული სიტუაციები. პიესა იმითაა მიმზიდველი, რომ, რა გინდ საზიზღარ საშუალებებს არ უნდა მიმართოს ჯაშუშმა ნუგზარმა, სტალინური ეპოქის ადამიანები — საბჭოთა მეცნიერება მაინც გამარჯვების გზით მიდიან. სტალინური ეპოქა იმორჩილებს ბუნების სტიქიას, მეცნიერება ხალხს ემსახურება. ასეთაა პიესის იდეა, რომელშიაც მოცემულია სოციალისტური მშენებლობის ჰეროიკა.

პიესა საბოლოოდ განხილულ იქნა რუსთაველის თეატრის სარეჟისორო კოლეგიაზე და შეტანილ იქნა მომავალი სეზონის რეპერტუარში.



წითელ არმიელი (ბაუსტი)— ქანდ. სიხარულიძისა

აფხაზეთის მწერლობა

„ფედერაციამ" გამოსცა აფხაზეთის მწერლობის კრებული. წიგნი შეიცავს აფხაზელი მწერლების ნაწარმოებთა საუკეთესო ნიმუშებს. კრებულში მოთავსებულია დ. გულიას, ნ. მიქავას, კ. გულიას, ი. პაპასკირის, ნ. კოკოსქერიას, ლ. კვიციანიას, ბ. შინკუბას, ა. ჭანგულიას და ც. კანონიდის ლექსებისა და მოთხრობების ქართული თარგმანები.

კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე აფხაზეთის ფოლკლორის ნიმუშების თარგმანები.

„ილიადა" ქართულად

ჰომეროსის უკვდავ თხზულებას „ილიადას" ბერძნულიდან ქართულად სთარგმნის პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი.

თარგმანი დასრულდება წლის დამლევს და ცალკე წიგნად გამოცემული იქნება „ფედერაციის" მიერ.

რუსთაველის ბიოგრაფიული რომანი

სახკინმრეწვმა მიიღო დასადგმელად ლ. ესაკიას სცენარი „რუსთაველის ბიოგრაფიული რომანი". სცენარის თანაავტორია პავლე ინგოროყვა. ამ სცენარის მიხედვით ფილმის გადაღებას შეუდგებიან მიმდინარე წლის ივლისიდან. ფილმში ასახული იქნება რუსთველის ცხოვრება, მისი ბრძოლა საეკლესიო-კლერიკალური წრეების წინააღმდეგ და სხვა.

კონსულტაციისათვის მოწვეული იქნება პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

ილიას რჩეული ნაწერები რუსულად

„ზარია ვოსტოკის" გამომცემლობამ რუსულად გამოსცა ილია ჭავჭავაძის რჩეულ თხზულებათა ერთტომეული.

წიგნში მოთავსებულია „მგზავრის წერილები", „გლახის ნაამბობი", „ოთარაანთ ქვრივი", „კაცია ადამიანი" და „სახრჩობელაზე".

მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენები სომხური თეატრის შენობაში

სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დადგენილებით მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წარმოდგენები თვეში ორჯერ გაიმართება სომხურ სახელმწიფო თეატრის შენობაში (26 კომუნარების სახელობის რაიონში).

პირველი წარმოდგენა უკვე გაიმართა 26 იანვარს წარმოდგენილი იქნა ბომარშეს კომედია „ფიგაროს ქორწინება".

კინო-ფილმი საბჭოთა პატრიოტიზმზე

სახკინმრეწვი შეუდგა მხატვრული ხმოვანი ფილმის „სამშობლოს" დადგმას (სცენარი გ. მდივნისა და ნ. შენგელაიასი).

ფილმი მოგვითხრობს მესაზღვრეთა გმირულ საქმეებზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე.

სურათის დადგმა მინდობილი აქვს ახალგაზრდა რეჟისორებს დიომიდე ანთა-

წითელი მეზღვაური — ქანდაკება სიხარულიძისა

გმირობისა და სიმამაცის სპექტაკლი

ახალგაზრდა დრამატურგს გ. ბერძენიშვილს თავისი პიესის („აჭარის მთებში"), თემად აუღია საბჭოთა პატრიოტიზმი, წითელი მესაზღვრეების მიერ სამშობლოს ერთგულად დაცვა და პიონერების გმირობა. პიესა დაიდგა მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

მოქმედება იშლება აჭარის მთებში, საზღვრო ზონაზე. მტერი, ისარგებლებს რა ღამის წყვდიადით და უამინდობით, გადმოლახავს საზღვარს. ჩვენი ფხიზელი მესაზღვრეები დროულად შეამჩნევენ მათ და შაშხანების ამოქმედებით გზას გადაუღობავენ. მაგრამ მტერი ვერაგია და მესაზღვრეებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევს. მესაზღვრეების მიერ გასროლილი ტყვია ამაოდ არ ჩაივლის, ერთ დივერსანტს იქვე მოჰკლავენ, მეორე კი დაიჭრება და მიიმალება.

სწორედ ეს შემთხვევა აძლევს მამაც პიონერებს ჯემალსა და ხასანს გმირის სახელის მოხვეჭის საშუალებას. საზღვრის დამრღვევი ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს დაზვერვის მიერ არის გამოგზავნილი საბჭოთა კავშირში, რომ დივერსიულ მუშაობას უხელმძღვანელოს. ამ შემთხვევაში მას დავალებული აქვს აწჭესის საგუბრის აფეთქება. დივერსანტს დახმარებას უწევენ ადგილობრივად მომქმედი მავნებლები. მაგრამ პიონერების გმირობას და სახელოვან შინსახკომისა და მესაზღვრეების ფხიზელ თვალს არც აქ გამოეპარებიან სამშობლოს მოღალატეები, დივერსანტები და უცხოეთის დაზვერვის აგენტები: მათ დანაშაულზე წაუსწრობენ. ჯებირი აფეთქებას გადარჩება.

ასეთია მოკლე შინაარსი პიესისა.

მოზარდი მაყურებლები განსაკუთრებული დაძაბულობით ადევნებენ თვალყურს სპექტაკლის მეოთხე და მეხუთე სურათს, როდესაც ხასანა ელექტრო-სადგურის ჯებირს აფეთქებას გადაარჩენს, მოზარდი მაყურებლები ტაშისცემით ეგებებიან ამ ფაქტს.

მოზარდ მაყურებელთა სახ. თეატრის ახალგაზრდა კოლექტივის და პიესის დამდგმელის (გამრეკელის) ენერგიულმა მუშაობამ მოზარდ მაყურებელთ ამ დადგმით მაღალხარისხოვანი სპექტაკლი უჩვენა.

შესრულების მხრივ გამოირჩევიან მსახიობები: თვალიაშვილი (ჯემალი), **კუპრაშვილი** (ხასანი), **კაჭკაჭიშვილი** (მემედი) აბაშიძე (პოლიტ-ხელი), **ციციშვილი** (რაზმის უფროსი), გვარაძე (ინჟინერი), **ალნიაშვილი** (ტექნიკოსი), მიქაშავიძე (ისკანდერი), **ს. გამრეკელი**, **ხუნდაძე**, **ჩხიკვაძე**, მარიამიძე და სხ. შესანიშნავია წარმოდგენის გაფორმება. გამფორმებელია მხატვარი თავაძე. განსაკუთრებით გამოირჩევა მეორე და მეხუთე სურათები.

ალ. კოლხიდელი.

რუსთაველის საღამო ლენინგრადში

ამ დღეებში შესდგა ლენინგრადის მწერალთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო უდიდესი ქართველი მწერლის შოთა რუსთაველისადმი. სხდომა გახსნა ნ. ტიხონოვმა. რუსთაველის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამჟამად ლენინგრადში მყოფმა სიმონ ჩიქოვანმა. მანვე წაიკითხა ქართულად ადგილები „ვეფხის-ტყაოსნიდან".

ბორის ბრიკმა წაიკითხა ნაწყვეტები პოემიდან (პეტრენკოს თარგმანი), ზაბოლოცკიმ და მირონშნიჩენკომ დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი საქართველოში ჩატარებულ რუსთაველისადმი მიძღვნილ მწერალთა კავშირის პლენუმის შესახებ.

„ვეფხის-ტყაოსნის" ეთიკა და სოციალური იდეალები

ვარლამ ხუროძე

„ვეფხის-ტყაოსანი" ძველი საქართველოს უნივერსალური ენციკლოპედიაა. იგი შექმნილია ერთი პიროვნების მიერ, მაგრამ ამ პიროვნების ნიჭის სიღრმემ და განჭვრეტის ნიჭმა საუკუნეთა მანძილზე აურაცხელი წევრის შემცველი კოლექტივის შემოქმედება გამოიწვია.

შევეცადოთ ამ ენციკლოპედიიდან ამოვიკითხოთ მისი ავტორის აზრი იმის შესახებ, თუ როგორი ურთიერთობა უნდა იყოს ადამიანთა შორის და რაგვარად უნდა იყოს მოწყობილი მისი მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრება?

როსტევან მეფემ ასეთი დარიგება მისცა ტახტზე აყვანის დღეს თავის ქალს თინათინს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენმცა ნუ მოგეწყინების".

ასე ესმოდა შოთას ეპოქას მეფობა და მეფის როლი და ასე ესმის „ვეფხის-ტყაოსნის" ავტორსაც. მისი წინამორბედნიც—იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და სხვები ამ თვალსაზრისზე იდგნენ.

ძლიერი ჰუმანიურ-საზოგადოებრივი გრძნობა ახასიათებთ დიდებულებსაც—ავთანდილს და ტარიელს. განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი მაღალი და კაცთმოყვარეული გრძნობა-აზრებით ავთანდილი, რომლის ცალკეული აზრები და ანდერძი ზნეობის ნამდვილ კოდექსს წარმოადგენს.

ზნეობის კანონები, ეთიკა, კოლექტივთან ან პიროვნებასთან ურთიერთობაში მოითხოვება. ამ დროს, ავთანდილის აზრით, სიცრუე, ღალატი და პირადი კეთილდღეობის წინ წამოყენება „თავია ყოვლისა უბედობისა", ადამიანთა გამთიშველი და საზოგადოებრიობის დამრღვეველი.

ავთანდილმა იცის თავისი ადამიანური მოვალეობა არა მარტო ნებაყოფლობითს სფეროში—ძმადგაფიცულისა და მეგობრის მიმართ, არამედ სახელმწიფო ორგანიზაციის წარმომადგენლის წინაშეც: იგი თავისი ზნეობით და მოქმედებით სახელმწიფოებრივი იდეის, ე. ი. უმაღლესი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთგული ბურჯია, ის ნამდვილი სახელმწიფოებრივი ეპოქის ადამიანია, მასში ნატამალიც კი არ არის თემური დროის ადამიანის თვისებებისა, კუთხურობის ცნებიდან მის არსებაში არაფერი არ დარჩენილა. ამიტომ არის, რომ იგი ასეთ აზრს გამოთქვამს:

„ჰხამს მეფეთა ერთგულება,
ყოფა გვმართებს ყმასა—ყმურად".

ავთანდილის ეთიკა კლასობრივია, ეს ურყევი მოვლენაა კლასობრივ საზოგადოებაში. ავთანდილი მარტო ისეთ მორალს როდი ქადაგებს, რომელიც მეფეებს და დიდებულებს უნდა ახასიათებდეს, იგი საყოფაქცევო კანონს, სამოქმედო ეთიკურ პრინციპებს აძლევს აგრეთვე კლასობრივად მოწინააღმდეგე ფენებსაც — ყმებს და მონებს:

„ვით მოიხმაროს მონამან
პატრონსა ზედა ხმალია!"

საიდან გამომდინარეობს და რაზე ეყრდნობა რუსთაველის ეთიკა? ემპირიული ხასიათისაა იგი და ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობიდან გამომდინარეობს თუ ზებუნებრივია?

„უხვსა მორჩილობს ყოველი,
იგიცა, ვინ ორგულია..
რასაცა გასცემ შენია,
რაც არა—დაკარგულია."

აშკარაა, რომ რუსთაველის ეთიკური კანონი—„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია" განსაზღვრულ ურთიერთობაშია წარმოქმნილი, მიწიურია და არა ზეციური, ადამიანთა ურთიერთობის ნიადაგზეა აღმოცენებული და არა ღვთის მიერ შთაგონებულ „უმაღლეს ზნეობრივ მცნებას" წარმოადგენს.

მაგრამ „ვეფხის-ტყაოსანში" არის ისეთი ადგილებიც, სადაც აშკარად ჩანს აპრიორიც, წინასწარგანსაზღვრულობა, ბუნებრივი ძალის მოქმედებაც. მიჯნურობა მეუფისაგან მონიჭებული თვისებაა და მისი წესებაც.—ე. ი. მიჯნურის ეთიკა და რეგულირებაც—ღვთის მიერ არის დაწესებული:

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები,
რომელი ჰფლობ ქვეყნად ზესა,
შენ დაბადე მიჯნურობა,
შენ აწესებ მისსა წესსა," —

ამბობს ავთანდილი. სიცრუე და ღალატი, რაც ძირს უთხრის კაცთა შორის კეთილი ურთიერთობის განმტკიცებას, იმავე დროს ღვთის გმობაც-არის:

„ყოველი ცრუ და მოღალატე
ღმერთსა ჰგმობს და ეგრე
ცრუობს."

გამოდის, რომ კაცთა შორის არსებული ერთგულობა და პირიანობა ღვთის მიერ დაწესებული მცნებებია.

ავთანდილი გაიპარა ტარიელის მისაშველებლად. გაპარვაც ღვთის საწყენი საქმეა, მისი მცნების დარღვევაა: „გამოპარვით წამოსვლითა" ღვთისაგან „კარგს არას მოველი", ამბობს იგი. ღვთაება, „ვეფხის-ტყაოსნის" გაგებით, ყოველგვარი ავისა და კარგის წყაროა. ავთანდილი ასე ლოცულობს:

„ზოგჯერ მამცემო პატიჟთა,
ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო,
უფალო უფლებათაო."

აშკარაა, რომ ადამიანთა ყოფაქცევის ხელმძღვანელი და ზნეობრივი წესების მომცემი, ამ სიტყვების მიხედვით, ღვთაებრივი ძალაა.

ამნაირად „ვეფხის-ტყაოსნის" ეთიკა, ერთის მხრით, ემპირიულ მოვლენებს ეყრდნობა, მეორეს მხრივ—ზეემპირიულს, ერთის აზრით, ადამიანთა მიერია, მეორეთი—ღვთისმიერი.

„ვეფხის-ტყაოსანი" ფეოდალური ქრისტიანული საქართველოს ეთიკის წიგნია, რაინდულ-ქრისტიანული ზნეობის კოდექსია. მაგრამ შოთას ქრისტიანიზმი არ არის ორტოდოქსალური.

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია, რომ ანტიკურმა ბერძნებმა მაშინ მოჰკიდეს ხელი ეთიკის საკითხების დამუშავებას, როცა მათი ცხოვრება გართულდა და მრავალფეროვანი გახდა. ეს მოხდა ირანელებზე გამარჯვების შემდეგ (მე-5 ს. ქრ. წინ).

ამ მომენტიდან საბერძნეთში სრულიად ახალი და მრავალწახნაგოვანი ცხოვრება წარმოიშვა: ადამიანთა შორის ურთიერთობა ძალზე ძნელი მოსაგვარებელი შეიქნა, აზროვნება ერთიანად პრაქტიკულ საკითხებზე გადავიდა, სოციალური მოვლენების გამოსარკვევად მოიმართა, ძველად გაბატონებული ნატურფილოსოფია იჩრდილება და პირველ რიგში ადამიანისა და მისი ცხოვრების შესწავლა დგება. ამ ეპოქაში მცხოვრებმა სოკრატემ (469—339 ქრ. წ.) სთქვა, რომ ხეები კი არ შესძენენ მას ცოდნას, არამედ ადამიანები, რომელნიც ქალაქში ცხოვრობენ.

„ვეფხის-ტყაოსნის" კლასობრივი ეთიკა უაღრესად განვითარებული და გართულებული ცხოვრების პროდუქტია. იგი აჯამებს იმ დიად ისტორიულ წარსულს, რომელიც ძველ საქართველოს ჰქონია, ამასთან წარმოდგენას გვაძლევს იმ სოციალურ ფუნქციაზე, რომელსაც ეს უკვდავი პოემა ასრულებდა თავის ეპოქაში.

აშკარაა ისიც, რომ ეს ეთიკა არ არის კლასობრივად შეზღუდული და შემოფარგლული. მარქსის და ენგელსის აზრით, გაბატონებული კლასის იდეები მოცემულ დროში მთელი ეპოქის გაბატონებულ იდეებს წარმოადგენენ, მაშასადამე, შოთას აზრები არის მთელ ხალხში გაბატონებული იდეებიც.

შოთას არ შეუძლია მოთავსდეს კლასობრივად შეზღუდულ და წოდებრივად ლოკალიზებულ აზრთა მიმდინარეობაში. მისი მძლეთამძლე არსება მთელ ქვეყანას უნდა გადაჰყურებდეს. ამიტომ არის, რომ შოთა საერთო საკაცობრიო აზრებს გამოსთქვამს, ისეთ აზრებს, რომლებითაც ყოველი კლასის, მდგომარეობისა და ერის ადამიანს შეუძლია იხელმძღვანელოს.

ამავე დროს რუსთაველი ხედავს კლასობრივი საზოგადოების ტკივილებს, კლასობრივ ჩაგვრაზე აღმოცენებულ სიძულვილს და კაცთა გათიშვას, მტრობას. ამას ვერ ურიგდება მისი ფართო შეგნება და, როგორც კაცთმოყვარეული გრძნობებით დატვირთული არსება, ის შეტრფის წოდებათა მშვიდობიან დამოკიდებულებას:

„სჯობან ყოველთა მოყვარულთა
პატრონ ყმანი მოყვარულნი," —

ამბობს იგი.

რუსთაველი პრაქტიკაშიც გვიჩვენებს ერთმანეთის მოყვარულ პატრონ-ყმებს, ესენი არიან ავთანდილი და შერმადინი, ტარიელი და ასმათი.

შერმადინისა და ასმათის პიროვნებებში ავთანდილი და ტარიელი უპირველეს ყოვლისა ადამიანურ ღირსებას ხედავენ, მათ პიროვნებებს ისე აფასებენ, რომ სამეფოებსაც კი ანდობენ სამართავაგამგეოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ პატრონი და მონა მათ ადამიანებად მიაჩნიათ, ერთნაირად გონიერ და ღირსეულ არსებებად სთვლიან ისინი.

კლასობრივი ეგოიზმი და შეზღუდულობა, შოთას რწმენით, უნდა გადალახოს სიყვარულმა, ადამიანის ადამიანისადმი ერთგულებამ და, საზოგადოდ, კაცობრიულმა გრძნობებმა, სოციალობამ.

შოთა თავისებური უტოპისტია: უნდა სიყვარულის მეშვეობით უწამლოს სოციალურ უბედურებას, ეთიკის გზით ცდილობს იგი კლასობრივი ბრძოლის მოშუშებას. „ვეფხის-ტყაოსანი" თავიდან ბოლომდე ამ შემარიგებლობითი გრძნობებით არის გაჟღენთილი. კლასობრივად გაყოფილ საზოგადოებაში შოთას ყოველთვის ერთგვარი შემათანხმებელი და ჰუმანიური მორალი შეაქვს. იგი ხედავს, რომ ადამიანთა ცხოვრება მოუწესრიგებელია, ადამიანი ვერა გრძნობს თავს ბედნიერად:

„აწლა ვცან საქმე სოფლისა
ზღაპარია და ჩმახია".

მაგრამ შოთას ისიც სწამს, რომ:

„ჭირსა შიგან გამაგრება
ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა„

ამიტომ მისი პოემაც ბრძოლის სულით გაჟღენთილი ქმნილებაა: ბოროტებას ებრძვის სიკეთე, ადამიანთა გამაბედნიერებელი უდიადესი გრძნობა—სიყვარული.

დამარცხდა ფარსადანისაგან მომდინარე ბოროტება, ბედნიერების ემბლემა—ნესტანი—გამოხსნილია. სიყვარულმა ყველგან გაიმარჯვა: შეერთდნენ თინათინიცა და ავთანდილიც...

და კიდეც ჩადგა ორი სახელმწიფო ახალ კალაპოტში. ამათ მიემატა მესამე სამეფოს—ფრიდონის სამეფოს ბედნიერება. გამარჯვებულმა სიყვარულმა და მეგობრობამ სამი სახელმწიფოს ცხოვრება ერთიანად გარდაქმნა და გააბედნიერა:

„მათ სამთავე ხელმწიფეთა
ერთმანეთი არა სძულდეს,
ერთმანეთსა ნახვიდიან,
საწადელი გაუსრულდეს.
ბრძანებისა შემცილენი
მათთა ხრმლითა დაეწყლულდეს,
მოიმატეს სამეფონი,
გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს".

სამი სამეფოს სახელმწიფოებრივად და პოლიტიკურად განმტკიცებამ მათი საშინაო ცხოვრების გარდაქმნა და სასურველი მოწესრიგება მოახდინა:

„ყოვლთა სწორად წყალობასა,
ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს
და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქნელნი დააშინეს,
კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა
თხა და მგელი ერთად სძოვდეს."

„ვეფხის-ტყაოსნის" ეს ადგილი ასრულებს და დიდების გვირგვინს ადგამს თავზე იმ ეთიკას, რომელიც თავიდანვე წითელ ზოლად მიჰყვება პოემის შინაარსის გაშლას.

გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ სინამდვილეში ასეთნაირი გარდაქმნა მაშინ არ მოხდებოდა, მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ შოთა რუსთაველს უნდოდა ასე მომხდარიყო, ვინაიდან ასეთნაირად გაბედნიერებული სახელმწიფოები შეადგენდნენ მის იდეალს. ჩვენი დროის ტერმინებით რომ გამოვთქვათ, შოთას სწადდა სოციალური ჰარმონიის შექმნა, შექმნა ერთნაირად კმაყოფილ ადამიანთაგან შემდგარი სახელმწიფო ორგანიზმისა, სადაც არ არის კლასობრივი ბრძოლა და ყველა ერთნაირად კმაყოფილია.

ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ შოთა რუსთაველი, როგორც თავისი დროის უდიდესი პროგრესიული და ჰუმანისტური მოაზროვნე, თავის საყვარელ გმირებს ჰპირდება ყველაფერ კარგს და ყოველგვარი დიდებული საქმის შესრულებას.

შოთას იდეალური სახელმწიფო ამ ქვეყნიურია და მას სრულებით არ გადაჰკრავს რელიგიურ-მისტიკური ხასიათი. გამოდის, რომ ადამიანთა არსებობის მიზანი ამ ქვეყნიური ცხოვრების მოწყობაა და არა იმ ქვეყნიური იდეალი, არა სულის ცხონებაზე ფიქრი, რასაც ასე თავგამოდებით ქადაგებდა ქრისტიანული საზოგადოება. მართალია, რუსთაველის მსოფლმხედველობა, როგორც დავინახეთ, ქრისტიანულ დუალიზმზეა დამყარებული — კომპრომისულად ცდილობს სულისა და მატერიის, იდეალისტურისა და მატერიალისტურის შეთავსებას, მაგრამ მთელი პოემის სივრცეზე მატერიალისტური დასაწყისი ჭარბობს.

სასულიერო წოდების მხრით „ვეფხის-ტყაოსნის" დევნის მთავარი მოტივი აქ უნდა ვეძებოთ და არა სხვა რამეში.

რუსთაველმა მრავალი თაობა აღზარდა ამ ბედნიერ საზოგადოებისათვის მებრძოლთა ჰანგებზე და სწორედ ამიტომ არის, რომ მთელი ხალხი აღტაცებით იგონებს მას.

შოთა რუსთაველის საკაცობრიო ბედნიერებისათვის მომართული ჩანგის ჟღერა მხოლოდ სოციალიზმის მშენებელმა ეპოქამ შეაფასა შესაფერისად. „ვეფხის-ტყაოსნის" ავტორი, როგორც უმაღლესი კაცობრიული ეთიკის მქადაგებელი და კაცთა შორის ბედნიერების დასამყარებლად მღაღადებელი მგოსანი, დიდების გვირგვინით დგას მსოფლიოს მოწინავე მოაზროვნეთა და მებრძოლთა პირველ რიგებში.

პ.-მგ. რედაქტორი შალვა რადიანი

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 810